

ცისკარი.

1 8 6 7.

მაისი.

Maia

წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:

- 1 — ორი ვერონელი ახნაურაძე, შექსპირის დრამა დი. ყიფიანისა.
- 2 — გამოცანა (ლექსი). აკ. წერეთლისა.
- 3 — საქართველოს ისტორიისათვის მასალები. მ. ბროსესი.
- 4 — ბუნების მეცნიერებათა. ი. კერესელიძისა.
- 5 — საავთმყოში (ბოლნიცაში) სცენები. შისიფე.

ტფილისს.

კერესელიძის სტამბა



აკტი 4.

სცენა 1. ტყე, მანტუას მახლობლად.

შემოვლენ გაფარდნილი თული კაცები.

1. თული. ამხანაგებო! აქ მოდით ჩქარა! მე მგზავრსა
ვჭხედავ!

2. — თუნდ ათიც იყოს, ნუ გენაღვლება, დავსცემთ მაშინვე.
(შემოვლენ ვალენტინ და მარდი.)

3. — შედექით მანდა! და რაც გაგაჩნდეთ, ახლავ მოგვეცით;
ნებით მოგვეცით, თორემ ძალათაც კარგა წაგართმევთ!

მარდი. ვაგვეცარცვენ ბატონო, ბატონო! ეს სწორეთ
ის ავკაცები არიან, ამ გზაზედ რომ თულობენ.

ვალ. ჩემო მეგობრებო!—

1. თული. აქ მეგობარი არავინ არის; მტერი ვართ
თქუტსნი.

2. — გაჩუმდი ერთი, ენახოთ რას ამბობს!

3. — ამ ჩემმა წუტსრმა, კაე კაცსა ჰგაეს, ენახოთ რას
ამბობს!

ვალ. მაშ ეს იცოდეთ, ბევრი სიმდიდრე მე არა მაქუტს რა.
კაცი ვარ ერთი, შაეის ბედისგან შეწუხებული;

რაც არ მაცვია, მეტი სულ არა გამაჩნიარა;

ეს თუ წამართვით, სულ ეს იქნება, რასაც წამართმევთ.

2. თული. სად მიხვალთ თქუტსნა?

ვალ. ვერონას მივალ.

1. თული. საიღამ მოხვალთ?

ვ ა ლ. მილანიდამა.

3. თული. მერე მილანში დიდხანს იყავით?

ვ ა ლ. თქვესმეტოლ თვეს. მეტსაც დავჭყოფდი, —
მუხთალი ბედი რომ არ შემცურდიყო.

1. თული. რა იყო მერე, გამოგაგდეს თუ?

ვ ა ლ. ჰო, გამოგაგდეს.

2. თული. რა საქმისათვის?

ვ ა ლ. გული მიკუდებდა, რომ მოვიგონებ: იქ ერთი კაცი
შემომავტლა და დიდათა ვაჭურბვარ იმისს სიკუდილსა.
მუხანათობით კი არ მომიკლავს, ან ლალატითა;
ხმაღში გავედით და შემომავტლა!

1. თული. მერე მაგისთვის ჯალა გაწუხებეს? მაგისთვის იყო
რომ გამოგაგდეს? დიდი რამ საქმე არ დავმართვია.

ვ ა ლ. კიდევაც კარგა, უფრო სასტკეადრომ არ დამსაჯეს!

1. თული. ერთი მითხარა, უცხო ენები იცი, თუ არა?

ვ ა ლ. ჩემს მუხანათობაში მაგანვე მეტა რა მიმოვინია!
სხტა სიმდიდრესვი ნულა რას ვკითხავთ.

2. თული. იმ რობინ-ჭუდის ბერის (*) ცხონებამ, ეს
კაცი ჩტონთან
რომ იქნებოდეს, ჩტონთვის მეფობის დირსი იქნება!

1. — მართლა, აქ მოდით, ამხანაგებო! (ჩუმათ ლაპარაკობენ.)

მ ა რ დ. მოდი, ბატონო! გაუხდით ამათ ამხანაგათა;
ეტყობათ, მართლა, ცუდი კაცები არა ყოფილან!

ვ ა ლ. ჩუმათ! სულელლო!

(*) რობინ-ჭუდი იყო ერთი გამოჩინებული ავსტრიელი. იმისს ამხანაგებში ბერის იყო ერთი, რომელსაც იმისს მოძღვრათა ვაჭურბვარ და ეკლესიათა სოფელი.

2. თული. ერთი გვითხარით; ამ ქუტსუანაში კიდევ შე-
გტკივთ.

რისთვისმე გული?

ვალ. სულ არაფრისთვის.

3. თული. მამ ეს იცოდეთ, ზოგნი ჩუტსუანის აზნა-
ურნი ვართ,--

სიყმაწულეში თავზღობისთვის გამოგდებულნი
მშვიდობიანის ხალხისაგანა. მე თუთანა ვარ
ვერონადამა, ქალს ვიტაცებდი, ღუყის ნათესაეს
და მიმკუდრესა; ამისთვისა ვარ გამოვარდნილი!

2.--მე მანტუაში, გაანჩხლებულმა, გულში ვაძგერე
ჩემი ხანჯალი ერთს აზნაურსა და გამოვარდი.

1.--მეც მაგისთანა შემემთხუა რალაც. მაგრამ საქმე ვძთქუათ:
დამნაწივობა თუ მოგვდევს რამე, იმისთვის ვამბობთ,
რომ ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება გაცნობოთ ჩუტსნი.
მაგ თქუტსს მოხდენილს თვალ-ტანადობას რომ შემოვტყუ-
რებთ,--

და ამას გარდა უცხო ენებიც რომა გცოდნიათ,--
ჩუტს ამასა ვჭგრძნობთ, რომ თქუტს გეაკლიხართ.

2. თული. მართლათაც, რადგან თქუტსნც კი ისე ხართ
გამოვარდნილი,--

აჟ ბევრი რჩევა რა საჭიროა;--ჩუტს ამას გკითხავთ;
მოთავეობა რომ მოგცილთ ჩუტსნი, ბინდათ თუ არა?
ჩუტსს გაჭირვებას თქუტსნც დაეჩვოთ და ამ ყრუტყეში
ჩუტსთან იცხოვროთ?

3. — გვითხარ: თანხმა ხარ, თუ არა? თუ ხარ, ჩუტსნი
უფროსი

შენ შეიქნები და ჩუბნც პირობას დაგიდებთ აქა,
რომ გემორჩილნეთ? პატიკსა გცემდეთ, და როგორც ბატონს,
როგორც ჩუბნს მეფეს, ისე გმონებდეთ სიყურულითა!

1. — თუ უარს გვეტყვ, იცოდე ბარემ, რომ უნდა მოგვლათ.

2. — რომ სატრაბახოთ ველარსადა ჰსთქუათ, რაც აქ
გითხარით.

ვ ა ლ. მე თანახმა ვარ თქუბნს სიტყუაზედა,--და აქა
ერჩები; —

ამ პირობით კი, რომ გასაცრტუშლად კელი არ ახლოთ
თქუბნს სიცოცხლემი არც ქალსა ვისმე არც ღარიბს კაცსა.

3. თ უ ლ ი. გაძლევთ პირობას, მაგგუარი საქმე ჩუ-
ბნც გვეჯავრება.

მაშ ეს გათავდა! ახლა წავიდეთ! ჩუბნს ქუბას მიგიყვანთ,
და რაც საუნჯე შეგვიკრებია, შენ ჩაგაბარებთ;--
როგორც გერჩიოს, ისე იხმარე და მოგვახმარე. (გაველენ.)

სცენა 2. მილანი. სასახლის ეზო.

შემოვა პროტოს.

პ რ ო ტ. მე ვალენტინს ხომ--მტრულად მოვიქეც; ახ-
ლა მოვიდა

თურიოს რიგი; ვითამ იმისთვის უნდა ვსცდილობდე
და ჩემს საქმეს კი უფრო ვადგევარ, მაგრამ სილვია
მეტად წმინდაა, მეტად უბიწო, შეუხებელი!

ჩემის საზიზღის ყოფაქცევითა როგორ შევიძლებ,
რომ დავითანხმო? ერთგულებაზედ მერწმუნე მეთქი,
თუ შევეხტუწე,--მაშ შენს მეგობარს რათ უმუხბოლეო,

ამას მომარტყავს. სიყუარულზედ თუ ფიცს მოუყვივი, ჩემს სიცოცხლეში არა ვჭმომ მეთქი,—მაშ მენს საყუარელს რალათ ჰლალატობ, ჯულიასაო. მაშინვე მეტყუვს. მაგრამ რაც უნდა გულის საკოდი სიტყუა მაყაროს, ჩემს გარდა რომ სხუას იმედს უწყუტუტდეს უქანასენელსა; მე მაინც ვიტყუვ, რომ ჩემი გრძობა უფრო და უფრო ისე ჰმატულობს და ისე ვეტრფი, როგორც გოშია უფრო და უფრო ელაქუცება თავისს პატრონსა, რაც უნდა ჰსტუქსონ და ჰსცემონ ზოლმე. აგერ თურიოც! უნდა წავიდეთ და ფანჯარას წინ ჩუტნის მუზიკით ყური დაუტკობთ.

(შემოვლენ თურიო და მოსაკრავენი.)

თ უ რ ი ო. როგორ. პროტეოს! თქუტუ დაგვესწარიო?

პ რ ო ტ. დიად, თურიო! ვინც ტრუაალუბას ემსახურება,—სადაც რომ ცხადათ ვერ გამოჩნდება, იქ ჩუმათ მივა.

თ უ რ ი ო. ეგ მართალია; მაგრამ ვჭგონებ კი, თქუტუნი საძებნი

აქ არსად იყოს.

პ რ ო ტ. დიად, თურიო! სხუა ხომ იქნება?

თ უ რ ი ო. ვინა, სილვია?

პ რ ო ტ. დიად, სილვია, და ისიც თქუტუთუვს.

თ უ რ ი ო. დიდათა გმადლობთ. მუზიკანტებო! აბა მო-
აწყეთ; —

მხიარული რამ!

შემოვლენ მოშორებით მასპინძელი და ჯულია, ბიჭურად მორთული.

მ ა ს პ. რაო, რათა ხართ აგრე, ჩემო ყმაწულო სტუ-

მარო? თითქო დაღონებული იყოთ, რა მიზეზია?

ჯ უ ლ. მგონია მიზეზი ეს იყოს, რომ მხიარულათ ვე-
რა ვარ.

მ ა ს პ. მე მინდა გაგამხიარულოთ; აქ ახლოს მუზიკას
გაიგონებთ და იქნება ვისაცა კითხულობთ, ისიცა ნახოთ.

ჯ უ ლ. იმისს ზმასაც გავეგონებთ, თუ ვერა?

მ ა ს პ. რა საკუთრველია!

ჯ უ ლ ი. აჰ, მუზიკა! (მუზიკა ისმის.)

მ ა ს პ. ყური დაუგდეთ, ყური დაუგდეთ!

ჯ უ ლ. ისიც ამათში არის?

მ ა ს პ. დიად, მაგრამ, ჩუმათ! გავეგონოთ!

ს ი მ დ ე რ ა :

ვგ თქუტნი სატრფო რომელი არის?

რომ აქაური ყმაწვლ-კაცები მაგას შესტრფიან?

სილვია არის; მ'შტენიერია;--

გონიერია; ზეციერია;

ყოველს სიკეთეს მჯობიერია;

ამ გუარად არის ღუთისგან ნაკურთხი;

ამისთვის არის, რომ ყმაწვლები თავს ევლებიან.

ლამაზი თუა, გულიც კარგი აქტს?

სიმშტენიერე, გულის სიკეთე ერთად ჰსცხოვრებენ.

სიყუარულს თვალი ასტკივებიყო;--

სილვიას თვალი მოსწონებოყო.

განსაკურნაედ იქ შესულიყო;--

მას აქეთ ბინა მუდმად იქა აქუს;
სიყუარული და სიღვიას თვალი ერთარსოვნებენ.

მამ ჩუტნც ამავე ქალს შეესწიროთ ქება
გულს-მოდგინებით, მოწადინებით. რაც შეგვეძლება,—

რომელი არის უღარებელი;

ყოვლის მოკუდავის მაცოცხლებელი;

ამავე ქუტსუნისა მსასოვებელი;—

რომელსა ჰმუტნის ქება დიდება

და რომლის მსგავსი მრთელს ცას ქუტსმეთში არცინ იქნება!

მ ა ს პ. რა დამართვიათ, ყმაწვლო! ახლა უფროა მოგი-
წყენიათ? რა მიზნია?—იქნება მუზიკა არ მოგწონდეთ?

ჯ უ ლ. მუზიკა კი არა, მომღერალია რომ არ მომწონს.

მ ა ს პ. რატომ, ჩემო პატარა სტუმარო?

ჯ უ ლ. ძალიან ცუდათ ამბობს და იმიტომ.

მ ა ს პ. ხმას ვერ აყოლებს თუ?

ჯ უ ლ. არა, ეგ არა; მაგრამ მაინც ისე ამბობს, რომ
გულს უკლავს კაცსა.

მ ა ს პ. გეტყობათ, ყურთა სმენა ძალიან წმინდა გქონიათ.

ჯ უ ლ. ნეტავი ყრუ ვჰყოფილვითა; გული უფრო დამ-
მკვდებული მექნებოდა.

მ ა ს პ. გეტყობათ, საკრავების ხმა არა გყუარებიათ.

ჯ უ ლ. სულაც არა, მეტადრე როცა აგრე შეუწყობრად
უკვრენ.

მ ა ს პ. დაუგდეთ, ყური დაუგდეთ, რამუტსნიერი ხმა არის ესა!

ჯ უ ლ. კიდევ ეგ მეჯავრება, რომ კილოს აგრე აღვ-
ლათა ჰსტულიან.

მ ა ს პ. მაშ ის გირჩევენიათ, რომ სულ ერთი ხმა იყოს?
ჯ უ ლ. ის მირჩევენია, რომ სულ ერთს კილოზედ უყ-
რადენენ. ერთი მითხართ, ეს პროტეოსი, ჩუბნ რომ ვახ-
სენებლით, ხშირათ დაიარება ამ ქალთანა!

მ ა ს პ. რაც მე იმისმა მსახურმა ლაუნსმა მითხრა, მეც
იმას გეტყვით, რომ უზომოთ თურმე უყუარს ეს ქალი.

ჯ უ ლ. ლაუნსი სად არის?

მ ა ს პ. თავისს ძალს ეძებს; ხუალ, ბატონის ბძანე-
ბით, იმ ქალს უნდა მიჰგვაროს საჩუქრათა.

ჯ უ ლ. ჩუ! იქით გავიდეთ! იზღებან.

პ რ ო ტ. ნუ გენადგლებათ, სინჰორ თურიო! ისე დაუწყებ
მე ლაპარაკსა, რომ თქუბნც გიკურდეთ.

თ უ რ ი ო. ახლა სად ენახავთ ჩუბნ ერთმანერთსა?

პ რ ო ტ. წმიდა გრიგოლის წყაროს ნაპირზედ.

(თურიო და მოსაკრავენი გაველენ.)

(სილვია გადმოდგება ფანჯარამი.)

პ რ ო ტ. მშუდობა თქუბნდა!

ს ი ლ ვ. დიდათა გმადლობთ მუზიკისათუს. ეინა ხართ
მანდა?

პ რ ო ტ. მე ის გახლავარ, რომელსაც ხმაზედ მალე
მიცნობდით,

ჩემს გულს რომ ჰსცნობდეთ! უკიდურესად ერთგულსა თქ-
უბნსა.

ს ი ლ ვ. სინჰორ პროტეოს! თუ არა ვჰსცდები!

პ რ ო ტ. სინჰორ პროტეოს, ჩემო ბატონო! თქუბნი
მსახური.

ს ი ლ ვ. რა გნებავთ მერე?

პ რ ო ტ. თქუნი მონება, თაყუანისცემა.

ს ი ლ. მამ მე გიბრძანებთ, ახლავ წახვდეთ და დაიძინოთ!
სულო მტბიერო, ფიცის გამტეხო, ყაღბო, უსჯულოვ!
ისე უაზრო, ისე სულელი როგორ გგონივარ,
რომ დაუჯერო კაცის სიტყუასა, რომელსაც ფიცი
არაფრათა ჰსწამს და რამდენჯერმე გაუტეხია?
წადი, წაბძანდი, და შენი საქმე იქ გაასწორე,--
სადაცა გმართებს. მე კი ჩემის მხრით,--ენიც ეს მნათობი
ცა გააჩინა, იმის მადლს ვჰფიცავ,--ისე შორსა ვარ,
რომ შენს ვედრებას ყური ვათხოვო, როგორცა მძულხარ
შენის საძაგლის ყოფაქცევისთვის. მე ჩემი თავიც
მეჯავრება რომ ამ ლაპარაკით შენთან დროს ვჰკარგავ!

პ რ ო ტ. მე აღვიარებ, მნათობო ლედი! რომ სხუამიყუარდა, -
მაგრამ--მომიკუტდა.

ჯ უ ლ. (ცალკე) ეგ რომ მე მეთქუა ხომ ვიცრუებდი;
რადგან ჯერ ვიცი,
არ დაუმარხავთ.

ს ი ლ. ვჰთქუათ აგრე იყოს; ვალენტინი ხომ ცოცხალი
არის!
ხომ კარგათ იცი, რომ მე იმისი დანიშნული ვარ!
არა გრცხუენია, მეგობარს რომ ჰგმობ და იმისს სატრფოს
შემომიწინებარ?

პ რ ო ტ. ესწუხეარ, მაგრამა იმისს სიკუდილსაც სწორეთ
ამბობენ.

ს ი ლ. მამ ეს იცოდე, რომ მეც მყუდარი ვარ, და
ჩემი გულიც
იმასთან არის განუშორებლად დამიწებული.

პ რ ო ტ. ნება მიბოძე, შენი ჭირიშე მე ამოვიღო!
ს ი ლ. ის ამოიღე თუ არ დაიშლი, ვინაც გიყუარდა;
თუ არა, იქვე შენც დაემარხე;

ჯ უ ლ. (ცალკე) ეგ ლაპარაკი ამას არ ესმის.

პ რ ო ტ. თუ თქუტსნი გული აგრე საოცრად გამაგრებულა,-
თქუტსნი სურათი მაინც მიბოძეთ, მანდ თქუტსს ოთახში
რომ გიკიდათ. იმას შევეტრფი, ჩემს მწუხარებას
იმას შევესჩივლებ, იმას შევეჭტორებ. თქუტსნი ღუთიური
არსება სხვსთვის რომ შეგიწირავთ, მე გაგიხდივართ
უსაგნო ლანდად, და თქუტსსავე ჩრდილს შევესწირავ მეცა
ჩემს ტრფიალებას.

ჯ უ ლ. (ცალკე) თუთან არსება რომ ყოფილიყო, შენ
ხომ იმასაც

შეაცდენდი და ჩრდილათ გახდიდი, როგორც რომ მე ვარ.

ს ი ლ. დიდათა მძაგს მე, რომ თქუტსნგან ვიყო თაყუან-
საცემი.

მაგრამ რადგანაც ფუჭის ჩრდილისა და ცრუ ოცნების
თაყუანის ცემა სწორეთ შეჭმუტსნის თქუტსს უსჯულობას,-
წააღებინეთ,--ხტალა,--ახლა კი ღამე ნებისა!

პ რ ო ტ. ამისი მსგავსი ღამე ნებისა იმას თუ ეთქმის,
ვისაც დილაზე სიკუდილი ელის გადაწყუტული!

(პროტეოს გავა. სიღვია ფანჯარას მოსცილდება.)

ჯ უ ლ. მასპინძელო წავიდეთ!

მ ა ს პ. ღმერთმანი, დამძინება!

ჯ უ ლ. ერთი მითხარი, სადა დგას ეს პროტეოსი?

მ ა ს პ. აქავე დგას, ჩემს სახლში. თითქო თენდებო, ჰა?

ჯ უ ლ. ჯერ არა! რაც ძილი გამკრთალი მაქუს, მას

აქეთ მე ამისთანა დიდი ღამე არსად მინახავს. (გაფლენ.)

სცენა 3. იქვე.

შემოვა ეგლამურ.

ე გ ლ. მე რომ სილვიამ დრო დამინიშნა, სწორეთ ეს
არის.

უეჭუტსლია, დიდი რამ საქმე ექნება ჩემთან!
ენახოთ რას მეტყვს! აბა! სილვია!

(სილვია იმავე ფანჯრიდამ.)

ს ი ლ. ვინა ხარ მანდა?

ე გ ლ. თქუტსნი მსახური და მეგობარი, რომელიც ველი
თქუტსნს ბძანებასა.

ს ი ლ. ათიათასჯერ დილა ნებისა, ჩემო ეგლამურ!

ე გ ლ. აგრეთვე თქუტსნცა, ჩემო ბატონო! თქუტსნის ბძა-
ნების

მოჩილი, ველი, რა გნებაეთ ჩემგან, რომ აღევსრულო!

ს ი ლ. ეგლამურ! შენ ხარ კეთილშობილი (ქუმმარიტება
პირმოთნეობად არ ჩამომართვა); ხარ გონიერი,
გულით კეთილი, შემბრალებელი, პატიოსნებით
ყოველითურთ სრული! და კარგათ იცი, თუ როგორ მიყუარს
მე ვალენტინი; ესეცკი იცი, რომ მამას ჰწებავს
თურიოს მიმცეს, რომელიც არის ფუჭი, სულელი
და მძაგს სულითა. ერთხელ როდისმე შენც გყუარებია!
მე კარგათ მახსოვს, შენ რომ ამბობდი, ჩემს სიცოცხლემში
ისე არაფერს დაუჩაგრავეარ, როგორც რომ ჩემის
დანიშნულისა გარდაცუტლასაია! იმისს საფლაფხედ

დაგიფიცნია სამარადისოდ უცოლოდ ყოფნა!
ჩემო ეგლამურ! მე ეალენტინი მინდა მოენახო!
ამბობენ, ეითამ მანტუას იყოს; და რადგან გზაზედ
შიში არისო, მე მოვმართე შენს პატიოსნებას
და ერთგულებას, და გვედრები შენ გამაცილო!
ნუ მეტყუ, მამა გაგიწყობაო! გახსოვდეს მხოლოდ,
რომ უბედური ყმაწული ქალი უზომოდ ვესწუხვარ
და უსაცილოდ საჭირო არის რომ განვემორჩო
აღმამფოთებელს, საზიზღარს კავშირს, კაცთაც და ღმერთსაც
რომ ეწყინებათ. გთხოვ ვედრებითა, მომიპყარ ყური
ჩემს შეწუხებულს და დატანჯულს სულსა და მიპატრონე,
თან გამომყევი!—თუ უარს მეტყუ, ვაფიცებ ღმერთსა,—
რომ რაც აქ გითხარ, არ გამამხილო, თავის დაღწევა
არ დამიბრკოლო!

ე გ ლ. მადამ! ეგ თქუტსნი მწუხარება მე როგორ განვიპ-
კიცხო!

აღმსარებელი თქუტსნის გრძნობისა, მზათა ვარ გულით
და გახსლებით. თუ მომეკითხა, ამისს ზრუნვასა
ნატერა აქარწყლებს, რომ ბედნიერად აღსრულდეს თქუტსნი
განზრახულება! ახლა მიბძანეთ, როდის ინებებთ,
რომ გავემგზავრნეთ?

ს ი ლ. ამ საღამოსვე.

ე გ ლ. სად შევიყარნეთ?

ს ი ლ. მამა პატრიკის სენაკის ახლოს. აღსარებისთვის
მივალ იმასთან.

ე გ ლ. მე იქ დავხტუდებით. ახლა მშვიდობით!

ს ი ლ. მშვიდობით, ჩემო კარგო ეგლამურ! (გაეღწენ.)

ს ც ე ნ ა 4. იქვე.

შემოვა ლაუნსი თავისი ძაღლით.

ლ ა უ ნ ს. როდესაც ადამიანის მსახური თავისს პატრონს
ჭოფავი ძაღლივით ეკიდება, — უნდა მოგახსენოთ, — მეტათ ძნე-
ლი რამ არის. — მე ეს პაწაწა ლეკვ გამომიზღია; — მე ეს სიკუ-
დილს გადამირჩენია, — სწორეთ მაშინ, როდესაც ამისი და-ძმა-
ნი, სამი თუ ოთხი, ერთათ დაახრჩეს. ისე გამიწვრთნია,
რომ ყოველი კაცი იტყვს, სწორეთ მეც ასე გავსწვრთნი-
დიო. — ჩემმა ბატონმა მიბძანა, — სინიორა სილვიას მიჰგუ-
რე და ჩემგაივრად საჩუქრათ მიართვიო; მეც რა საკუთრე-
ლია — მივართვი. სასტუმროში შევედი თუ არა, — ცა
მამინვე სუფრასა და ყვერულის ბარკალსა სტაცა პირი! — აბა,
რა საქციელია თქუტსნი ჭირამე! როგორ საძაგელი არ არის,
რომ გზდილმა ძაღლმა არ იცოდეს, ქუტსუანაში როგორი
ყოფაქცევა უნდა, თავი როგორ უნდა ეჭიროს. მე სულ
ამას ვამბობ, თუ რომ ძაღლმა, ასე ვთქუთათ, კაი ძაღლო-
ბა დაიჩემა, ბარემ გაატანოს კიდეცა. თორემ ეს სადაუ-
რია? მე რომ უფრო ჭკვიანი არა ვყოფილიყავი, მე რომ
ზოგი ერთი ამისი ავძაღლობა ჩემ თავზედ არ გადმომეტა-
ნა, — თქუტსნი მტერი მოუკლავთ, როგორც ამას მოჰკლავდ-
ნენ, ჩამოახრჩობდნენ, თავი ცოცხალი არ მინდა თუ სწო-
რეს არ ვამბობდემ! აბა იფიქრეთ, თქუტსნი ჭირამე: სამ თუ
ოთხ კარგათ გზდილ ძაღლებთან ესეც შეიპარა დუკის სა-
სახლეში და მამინვე სტოლქუტსუ ამოყო თავი. არ გამოხუა
ლა იმდენი ხანი, რაც ცხვრის მოხოცას მოუწოდებოდა.

რომ მშინვე ცხვრში იტაცეს კელი, ვინცაინ იქ იყენენ. „ძალ-
ლი გაგდეთო,“—ერთმა თქუა; „ვისი რა ძალლიაო,“ იუთხა
მეორემ; „გაგდეთ გარეთაო,“ წამოისროლა მესამემ; „ახლავე
ჩამოახრჩობინეთო,“ — წამოიძახა დუკმა. რა საკურველია, მა-
შინვე მენიშნა, რომ ჩემი კრახის საქმე იყო ესა. და გავსწიე
იმ კაცთან, ვისაც ეს ზძანება უნდა აესრულებინა. დაუღრი-
ქე და მოვახსენე: იქნება მართლა ეს ძალლი უნდა გალა-
ხოთ მეთქი?—სწორეთ უნდა დავსაჯოო, მითხრა. — ეგ საში-
ნელი უსამარლობა იქნება მეთქი, მე უთხარი. — როგორაო,
ახლა იმანა მკითხა. — როგორა და ისე მეთქი! რომ... ეგა...
რალა დავიმალოთ... მე დამემართა მეთქი! — სტაცა მათრახს
კელი და ორიოდ სამი ისეთი გამაწნა, რომა, გარეთ თუ
არ გამოეარდნილვიყავი, თქუტსნი მტერი, ჩემი საქმე იქნე-
ბოდა. არა, გამიკითხეთ ერთი, ბევრია ქუტყუანაზედ ისეთი
ბატონი, რომ თავსი მსახური ასე გადაარჩინოს? — მაგრამ--
ეს კიდევ რა? მე შემძლია ფიცით დაგარწმუნოთ, რომ
ერთხე... ფეხებში ხუნდი მეყარა, ამან რომ ძეხვი მოიპარა
იმისთვნა; თორემ ვილა აცოცხლებდა. — ერთხელ კიდევ ბა-
ტი მოიპარა და ისიც რომ მე დავიბრალე, რაც მე ამაზე
გადამხდა, — ამას ნუღარ მათქმევენებთ. სუყველაფერი დავი-
ვიწყნია შე მყარლო, შე საძაგელო? — მე ერთი საქმე კიდევ
ვაც მახსოვს შენი! სინიორა სილივას რო ვესალმებოდი,
ის რა ქენ მაშინა, ჰა? რამდენჯერ მითქუამა, მე მიყურე და
რასაც მე ვიქმოდე, შენც ისე იქმოდე მეთქი და შენ რა
ჰქენი? არა, შე მამა პატროსანო, აბა ერთი მითხარი, ფეხ-
აშუტსრილი როდის გინახავარ? მერე სადა, ჰა? — მერე ვისა-
ნა? როდის გინახავარ მეთქი, რომ ზედ პატროსანის ქალის

კაბაზე?... ავიღო ერთი და....

(ამ დროს შემოვლენ პროტეოსი და ჯულია.)

პ რ ო ტ. სებასტიანე გკვა საკვლად? მომწონხარ შენა და მიმიღიხარ; და ერთს საქმესაც ახლავ დაგსაქმებ.

ს ი ლ. რასაც მიბძანებთ, მე აღვასრულებ, თუ შევიძელი.

პ რ ო ტ. იმედი მაქვს რომ კარგათ შეიძლებ. (ლაუნსს.)

აჰა, შე წუწკო!

ეს ორი დღეა სად დაეთრევი?

ლ ა უ ნ. თქუტუნ არ მიბძანეთ, სინიორა სილვიას ძაღლი მიართვით.

პ რ ო ტ. რა გითხრა მეჩუ, ჩემი პაწაწკუნა გოშია რომ ნახა?

ლ ა უ ნ. ასე ბძანა, საძაგელი ძაღლიაო და ძაღლყრ მადლობათაც არა ღირს თქუტუნი საჩუქარიო.

პ რ ო ტ. გამოგართვაკი?

ლ ა უ ნ. რა ბძანებაა! ისევე უკან მოვიყვანე; აჲ, აქ გახლავს.

პ რ ო ტ. როგორ? იქნება ჩემმაგიერად შენ ეს მიჰჭურე?

ლ ა უ ნ. დღა! თქუტუნი პატარა გოშია ვიღამაც სალახანამ მომპარა შეიღანზედა და მეც იმის მაგიერად ჩემი ძაღლი მიეჭურე. ეს ათი იმოდენაც გამოვა და საჩუქრათაც ხომ ერთი ათათ ეღირებოდა.

პ რ ო ტ. ოჰ! შე უფარგისო შენა! გაეთრი, ახლავე იბოვე ჩემი გოშია, თორემ თვალით აღარ დამენახო. რაღას უდგებხარ, გასწიე მეთკი, გეუბნები. ყოველთვის უნდა მარცხენდე ხოლმე, შე საძაგელო! მაგაზე მეტი ღირსება არა გაქუტსრა. (ლაუნსი გავა.)

სებასტიანე! შენ რომ ამყავხარ, უფრო იმისთვის,

რომ მეჭირვება კარგი მსახური; რასაც დავსაქმებ,
რომ რიგინად დაადგეს ხოლმე. არ შეიძლება
რომ მე ამ სულელს მივანდო რამე და არ არიოს.
შენკი მომწონხარ. თუ არა ესცდები, ზედვე გეტყობა
გაზდილობაცა, გონიერებაც და ერთგულებაც.
ეს მიზნია, რომ აგიყვანე! აჰა, წაიღე
ეს ბეჭედი და, ჩემმაგიერად, მადამ სილვიას
თვთან მიართვი.--მე--ქალმა მომცა, რომელსაც ერთხელ
დიდად ვეტრფოდი!

ჯ უ ლ. არ გყუარებიათ, თუ იმის ნიშანს ახლასხუას აძლევთ.
მაგრამ ვინ იცის, იქნება მოკტუა?

პ რ ო ტ. არა მგონია; ცოცხალი არის.

ჯ უ ლ. ვაჰ!

პ რ ო ტ. რა იყო ეგ ვაჰ!

ჯ უ ლ. მებრალემა და--როგორ იქნება არ შევიბრალო?

პ რ ო ტ. მიზენი ვითამ რა უნდა გქონდეს, რომ შევიბრალო?

ჯ უ ლ. ასე მგონია, რომ თქვენ იმ ქალსაც ისე ძლიერად
ვეყუარებოდით, როგორც ახლა თქვენ სილვია ვეყუართ.
თს უნდა იყოს ახლა თქვენს ფიქრში და თქვენ კი სულსხუას
ეტრფოალებით, რომელიც, ვჭგონებ, თქვენ არას დაგდევთ,
მე ეს ვიფიქრე, რომ მეტად ძნელი იქნება მეთქი
შეუფრწვლილი სიყუარული და--ამოვიოხრე.

პ რ ო ტ. მაგ ბეჭედთან ეს წიგნიც მიართვი; იმის ოთახი
აჰ, აქ არის და ჩემს სანატრელს. ეს მოახსენე,
რომ სურათს ველი დაპირიბულსა. ამ დარიგებას
რომ შეასრულებ, მე შინ ვიქნები დაღონებული
და იქ მომმანებ. (პროტეოსს გაეა.)

ჯ უ ლ. ნეტა ვიცოდე, ბევრი იქნება ისეთი ქალი, რომ ამისთანას საქმეს დაადგეს, როგორც მე ახლა? საბრალო პროტე! ბატონებისათვის რომ მწყემსად მელა მიგიჩენივარ!! შენ ჩემო თავო! რაღათ ვიბრალე კაცსა, რომელიც ჩემს ტრფიალებას აღარას დასდევს? რაღა თქმა უნდა, რადგან სხტა უყურას, მე უკუმაგდებს. და მე რომ მიყურას, მე კი მმართებს რომ მებრალეობდეს.

— ჩემი ბეჭედი!... რომ მოდიოდა მე მივეც ესა, გახსოვდე მეთქი, და ახლა ხედავთ, როგორ ვახსოვარ? იმის გულისთვის უნდა თავს ვიდვა მოციქულობა მე უბადრუკმა და ისეთს რასმე უნდა ვევედრო, რომ უარის თქმა მიამებოდეს;--ისეთი რამე უნდა მივართვა, რომ არ მიღება გამახარებდეს; პირიანობას ისეთს უქებდე და უღიდებდე, — რომ გაცრუებება მე უფრო მსურდეს. ჩემის ბატონის სარწმუნოდ მტრფობი როგორ ვიქნები სანდო მსახური, თუ თვთან ჩემს თავს არ უღალატე? მმართებსკი მაინც შუა-მღვომლობა, ვისთანაც მგზავნის; მაგრამ როგორი? ღმერთმან ხომ იცის--გულს-მოდგინებით--არ შემძლია,-- რადგან მე ისე არა მინდარა, როგორც უარი.--

(შემოვა სილვია მუახლეებით.)

დილა ნებისა, მნათობნო ქალნო! გთხოვთ რომ მიბძანოთ, მაღამ სილვია სად როგორ ენახო?

ს ი ლ. რა გნებათ მერე? ეთქუათ, რომ ის მე ვარ!

ჯ უ ლ. თუ თქუენ ბძანდებით, ნებას მოვითხოვ რომ მოგახსენოთ, რისთვისაცა ვარ გამოგზავნილი.

ს ი ლ. ჯერ ეს მითხარით, ვინ გამოგზავნათ?

ჯ უ ლ. სინჰორ პროტეოს, ჩემმა ბატონმა.

ს ი ლ. ჰო! სურათისთვის გამოგზავნილათ?

ჯ უ ლ. დიად, ბატონო!

ს ი ლ. ურსულა! შედი, ჩემი სურათი გაშოიტანე.

(ურსულა გამოიტანს.)

ჰა, მიეცით ეს თქუტუნს ბატონსა! ჩემმაგვირად
ასე უთხარით, რომ ეს აჩრდილი იმისს სახლს ისე
ვერ დაშუტუნებს, როგორც რომ მართლად დავიწყებული
იმის ჯულია დაამტუნებდა.

ჯ უ ლ. ესეც ინებეთ და წაიკითხეთ, ჩემო ბატონო.

(წიგნს აძლევს.)

ოჰ, მომიტყევთ, სხვა მოგართვით! თქუტუნი ეს განლაგეთ!

ს ი ლ. მიჩუტუნეთ ერთი, ვე ვილასია?

ჯ უ ლ. არ შემოძლია, თქუტუნს მზესა ვჰტიცავ, და მომიტყევთ.

ს ი ლ. ესეც წაიღეთ; სულაც არ მინდა, რომ წაეკითხო
იმისი წიგნი; ბეჯითად ვიცი, რაც ეწერება:

რწმუნება, თხოვნა, ვედრება, ფიცი, რომელსაც დაჰხვეს,
როგორც მე ამას. (წიგნსა ჰხვეს.)

ჯ უ ლ. მაგასთან ესეც მოგართვათ თქუნა! (ბეჭედს აძლევს)

ს ი ლ. მაგითი უფრო იმდაბლებს თავსა. ათასჯერ უთქუთამს,
რომ ვე ბეჭედი ჯულიასია, -- იმისგანა აქუს.

პროტეოსმა თუ იმ სიყუარულის ვე საღმართო წინდი

უსუნდისოდ შეგინებულ-ჰყო, მე აღარა ვიქ, --

მაგის მებებით რომ შეურაცხ-ვჰყო ჯულიას გრძნობა!

ჯ უ ლ. ის გმადლობთ თქუნა!

ს ი ლ. რაო? რას ამბობთ.

ჯ უ ლ. მე გმადლობთ, მაღამ იმ ჯულიას რომ აგრე იბრალებთ.

საბრალო ქალი! არ ემართლება ჩემი ბატონი.

ს ი ლ. იცნობთ იმ ქალსა?

ჯ უ ლ. როგორც ჩემს თავსა! რამდენჯერ კიდევ მიტი-
რნია მე,--

რომ მიფიქრნია, როგორ მწუხარედ იქნება მეთქი.

ს ი ლ. პროტეოსისგან კელის აღება იცის იმ ქალმა?

ჯ უ ლ. ვჭონებ იკოდეს და საბრალო გულს ეს უმუსრავედეს.

ს ი ლ. სახით ჯულია, როგორი არის?

ჯ უ ლ. როგორიც იყო, რაღათ იქნება ახლა ისეთი!
როდესაც ჰსწამდა, რომ ამ ჩემს ბატონს სწორეთ უყუარდა,
ისე ჰშტუნოდა, როგორც რომ ახლა თქუტუნა ბძანდებით,
მაგრამ მასუყან, რა რომ სარკეში არ იხედება
და აღარც მზის შუქს არიდებს პირსა, დაწუტუბზედ ვარდი
აღარ უყუაფის და გამერთალი აქუს ზამბახის ფერი.
მე რომ მიყურებთ ისეა ახლა.

ს ი ლ. ტანადი არის?

ჯ უ ლ. თითქმის ასეთი, როგორც მე მხედავთ.
ნააღღამოვეს რომ ბედნიერ დღეებს ესასწაულობდით
და ეთამაშობდით, მე ქალს ვაღგენდი და ისე მოჰხდა,
რომ იმის კაბა უნდა ჩამეცევა; რა რომ ჩავეცვი,
სწორეთ მეგონა, ჩემია მეთქი, ისე მომიხდა.
ამითი ვიცი, რომ თითქმის ჩემის ტანისა არის.
არიადნას რაღას მე ვჰთამაშობდი, თეზვის დალატს
და ვანშორებას რომ მისტაროდა; — ისეთნაირად
წარმოვადგინე, რომ, მოტირალი რომ დამინახა, —
ღვთანაც ცხარის ცრემლით ატირდა; და ღმერთსა ვჰფიცავ,--
რომ მამინ დიდად მებრალებოდა.

სიღვ. საბრალო სული! აგრე უღმერთოთ დაეიწყებული!
შენმა ამბავმა მეც ამატირა. აჰა, ეს ქისა!

ეგ სიბრალოელი რადგან გქონია, იმისთვის გაძლევ.
ახლა მშვიდობით. (სიღვია გავა მოახლეებით.)

ჯუ ლ. ამის მადლობას კიდევაც გეტყვს, როცა გაცნობა
შეგხუდებათ სადმე. გაკურთხოს ღმერთმან, სულთა კეთილო!
ჩემს სიყუარულს თუ ასე პატივს სცემს, იმედი არის
რომ ამ ჩემს ბატონს აღარ დაჰყვება! ოჰ! სიყუარულო!
რისგან არის, რომ თუთან შენს თავსვე შენვე დასცინი?
აბა, გაფშინჯოთ ჩუპნ ეს პორტრეტი! მეც რომ ამგუარად
თავს ვიკაზმიდე, მგონია რომ მეც ისე მომიხდეს,
როგორც ამასა. მხატვარს კი ცოტა უფრო ლამაზად
გამოუხატავს, თუ ჩემი თავი მეტად ლამაზი
არა მგონია.--ამას ჰქონია თმა წაბლისფერი, —
და მე მაქვს ქერა. ამაზე მეტი თუ სხუა მიხეზი
არა არისრა, რომ მე გამცტალა,—ამისს ფერსფარუქს
ვიმოვი სადმე და გავიკეთებ. მაშინ რას იტყვს?
თვალების ფერი მინის ფერი აქვს და მეც აგრე მაქვს; —
შუბლი კი უფრო მე მაღალი მაქვს. მაშ რა აქვს ამას
იმისი გულის მიმტაცებელი, რასაც ჩემშიაც
ვერ იპოვიდეს? თუ სიყუარული მართლა ბრმა არის?
ჩემო აჩრდილო! შენვე რომ მიგაქვს შენს საყუარელთან
ეს მტრის აჩრდილი,—მეც ხომ იცი რომ ტრფილდებასა,
ფუფუნებასა, ხუტუნა-კოცნასა, თაყუანის-ცემას
ამას დაუწყებს, — მაშინ, როდესაც შენ იქნებოდი
თაყუან-საცემი, ცოტა გაგება რომ ჰქონებოდა!
მაგრამ, სურათო! ვისიცი სახე ხარ, იმის მადლობით

მე ვერ გიმტერებ; და თუ ეს არა, — ღმერთმან ხომ იცის, —
ამ ნახატს თვალებს სულაც მოეთხრიდი, ოღონდ კი ამით
იმისი ტრფობაც ამომეშალა! (გავა.)

ა კ ტ ი 5.

სცენა 1. იქვე. მონასტრის ეზო.

შემოვა ეგლამურ.

ე გ ლ. აგერ! აყვთლებს მზე დასაეღეთსა! ამ დროსი მითხრა,
მამა პატრიკის სენაკს მოვალო! არა მგონია
დაიგვიანოს. ტრფილისაგან დაგვიანება
რა სათქმელია? მოუთმენლობა უფრო იციან
და დანაშნულს დროს რომ არ დესწრონ, ძვრათ მოხდება.
(შემოვა სილვია.)

აგერ ისიცა! შუვლობა თქუტუნდა, ჩემო ბატონო!

ს ი ლ ვ. დიდათა გმადლობ, ჩემო ეგლამურ, რომ აქ
დამიხვდი,

ნუ ვიგვიანებთ; პატარა კარით გავიდეთ, ჩქარა;
თორემ, ვინ იცის, რომ მოგვეწიენენ?

ე გ ლ. ნუ გემინიათ, სულ არ იქნება ტყემდინ ორი თუ
სამიოდ მილი. რა ტყეს მივაწევთ, მერე რა გვიმავს
(გაეღვნ.)

სცენა 2. იქვე. ოთახი დუკის სასახლეში.

შემოვლენ თურიო, პროტეოს და ჯულია.

თ უ რ ი. აბა, პროტეოს! რაო სილვიამ ჩემ განზრახვაზედ?
პ რ ო ტ. ეტყობა, ახლა უფრო და უფრო ღმობიერდება.

მაგრამ კიდევაც ჰპოვებს რაღასაც თქვენს ნაკლებობას.

თ უ რ ი. გრძელი ფეხები აქუსო, ამითი ხომ არ მიწუნებს?

პ რ ო ტ. არა, ჰგონია, კანჭები გქონდეთ როგორღაც
წერილი!

თ უ რ ი. მაშ, თუ აგრეა, ჩექმებს ჩაეცტამ, მსხვილი ეგონოს,

ჯ უ ლ ი ა. (ცალკე) თუ არ უყუარხართ, მამ დეზები-
თაც ვერას გააწყობთ.

თ უ რ ი. პირის სახეზედ, რაო, რას მამჩნევს?

პ რ ო ტ. როგორღაც მეტად თეთრი არისო.

თ უ რ ი. სტყუის მაგასა; შავი უფრო ვარ.

პ რ ო ტ. მარგალიტი ხომ დიად თეთრია; ანდჷად ითქმის:
თუ შეეგურომანი უყუართ ქალებსა, მარგალიტის ფად
მიაჩნიათო.

ჯ უ ლ. (ცალკე.) მარგალიტები თვალს გეიტყუებენ;

მე დაეჭხუჭავდი, რომ ამისთანა სულ არ მენახა.

თ უ რ ი ო. ლაპარაკს მინც ხომ არ მიწუნებს?

პ რ ო ტ. არ მოსწონს მამინ, როდესაც ამბობთ ჩხუბის ამბავსა.

თ უ რ ი. ტრფიალებაზედ და მშუდობაზედ რომ ელაპარაკობ,-
ეტყობა, მამინ კი არ მიწუნებს.

ჯ უ ლ. (ცალკე) მგონია, მამინ უფრო მოსწონდეთ, ჩუმათ
როცა ხარ!

თ უ რ ი. ჩემს ვაჟკაცობას როგორ აფასებს?

პ რ ო ტ. მაგისი ეჭვ სულ არა აქუსრა.

ჯ უ ლ. (ცალკე) რადგან იცის, რომ ქალაჩუნა ხარ.

თ უ რ. გუაროენობისას--რას ამბობს ჩემსას?

პ რ ო ტ. თურიოს გუარი შესამცნებელად ძჷპლი არისო.

ჯ უ ლ. (ცალკე) დასისულელეც გასაოცებლად შესამცნევიო.

ჯ უ ლ. რაც მამულებს მფლობელი მე ვარ, ხომ იცის ესა?

პ რ ო ტ. როგორ არ იცის; მაგრამ სწუხს დიდად...

თ უ რ. რაო, რასა სწუხს?

ჯ უ ლ. (ცალკე) რომ მაგისთანა მხეცს დაგრჩენია.

პ რ ო ტ. რატომ თვთანვე არა მართავსა.

ჯ უ ლ. ღუკი!

შემოვა ღუკი.

ღ უ კ ი. რაო პროტეოს? რაო თურიო? ამ ცოტას ხანში
ეგლამური ხომ არსად გინახავთ?

თ უ რ. მე არ მინახავს.

პ რ ო ტ. არც მე მინახავს.

ღ უ კ ი. არც ჩემი ქალი?

პ რ ო ტ. არც თქუნი ქალი.

ღ უ კ ი. მამ ვაღენტიანთა გაუწევია, თქმა აღარ უნდა;
და ეგლამურიც თან გაჰყოლია, შექუტსლია.

მამა ლორენცოს უნახავს ტყეში. ეგლამურიც

იმ წამს უცენია და ქალს კი პირზედ მასკა ჰფარვია,—

მაგრამ სიღვიას მივამსგავსეო. ამ საღამოზედ

გასანდობელად წასულა თურმე პატრიკოსთან,—

მაგრამ იმასთან არა ყოფილა. ამით ჰმტკიცდება,

რომ გაქცეულა. ახლა გთხოვთ თქუნი, დროს ნულარ ვჰკარგავთ,—

ცხენებს მოვასხდეთ და გამოუდგეთ. მე იმ გორაზედ

მოგიცდით თქუნი, მანტუასაყენ რომ გადაჰყურებს.

იქითყენ არის იმათი გზაცა. აბა საჩქაროდ! (გაევა.)

თ უ რ. უყურეთ ერთი ამ კერპ გოგონა! ბედს გაჰქცევია!
გამოუდგები, მაგრამ იმისი ტრფობით კი არა,—

ამ იმედითა ეგებ ეგლამურს გარდაუხადო! (გაევა.)

პ რ ო ტ. მე ვგლამურის ჯაფრით კი არა, თვთ სილვი-
ასთვს! (გაფა.)

ჯ უ ლ. და მე სილვიას ჯაფრით კი არა, ენებ შეეჭმალო
ეს სიყუარული პროტეოსისა! (გაფა.)

სცენა 3. ტყე მანტუას საზღუარზედ.

შემოვლენ სილვია და თულები.

1. თ უ ლ ი. გასწი, გასწიეთ!

ნუ გეშინიათ. ჩუტნს კაპიტანთან უნდა მივიდეთ.

ს ი ლ ვ. ათასგზის შეტი უბედურება გამომივლია,—
და ამას რაღას შეუშინდები.

2, თ უ ლ ი. რატომ არ მოგყავთ, რაღას შედექით?

1. თ უ ლ ი. ის რაღა იქნა, ზნაურშული რომ მოჰყებოდა?

3. თ უ ლ ი. გაგვექცა, მაგრამ მოსე და ვალერ გამოვიდნენ.

შენ ეგ მიჰგვარე ჩუტნს ატამანსა; დასაველეთის მხრის
ბოლოზედ არის ამ ტყეში, და ჩუტნ იმავ გაქცეულს
გამოუდგებით. ვერსად წაგვივა. რაც აქ გზა არის,
სულ შეკრული გვაქუს.—

1. თ უ ლ ი. იარეთ, კარგი, ატამანს უნდა მიგვეაროთ
თქუნა.

ნუ გეშინიათ. კარგი კაცია, კეთილშობილი,—

და ქალის წყენას ის არასოდეს არ მოინდომებს.

ს ი ლ ვ. ჩემო ვალენტინ! შენის გულისთვს ვითმენ ამასა.
(გაველენ.)

სცენა 4. სხუა ადგილი იმავე ტყეში.

შემოვა ვალენტინ.

ვალ. რას ვერ შეიძლება, ვერ შეეჩუბვა ადამიანი? ახლა მე ეს ტყე, ჩუმი, წყუდიადი და უდაბური, — თითქმის რომ მიჯობს ღიღსა და ხალხით სავსეს ქალაქსა. კაცთაგან მარტოდ და უხილავად რომ ვარ მე აქა, — არა მიშლისრა, რომ ჩემს კუნესასა და ჩემს ვაებას ბუღბუღლის ყეფას ავაცოლებდე და მეც მოვსთქმიდე. ჩემს გულს მსუფეეო! ნუ განუტყევებ ამ შენს ბინასა, თუ არა გნებაეს, რომ მოიშალოს და ისე გაჰქრეს, — რომ რაც ყოფილა, იმის ხსენებაც არა დარჩესრა! განმაცხოველე შენის სუფევეით, ჩემო სიღვია! მოვედინ ჩემდა, კეკლუცო ნიმიფე და ნუგეშ-ეცი შენსა უბადრუკს თაყუანის მცემსა!..რა ისმის ესა? — როგორი ხშირი ხმიანობაა ახლა ამ ტყეში! უთუოთ ჩემი ამხანაგები დასდევენ ვისმე საბრალოს მგზავრსა. რაც არა ნებაეთ, ან რასაც თვთან არ დაიშლიან, სხუა არა სწამთრა! მე პატივს მცემენ, მაგრამ მეც მიჭირს, რომ ზოგიერთი აფაჰაობა მოვამლევინო. — აქეთ მორბიან!! დავიმალები. (ხეს ამოეფარება).

შემოვლენ პროტეოს, სიღვია და ჯულია.

პროტ. მაღამ! თუმც თქუტსნთან ჩემგან სამსახურს ფასი არა სძევს, მაგრამ მე მაინც გადავარჩინეთ ამ განსაცდელსა; თავის გაწირვით გამოვიხსენით იმ კაცისაგან, რომელიც თქუტსნსა უპატიობას

და დამონებას განიზრახვიადა. სამაგიეროდ
სხტას არასა გთხოვთ, მხოლოდ ერთს ტკბილად შემოხედვასა!
ამის ნაკლები ან მე რაგთხოვთ, ან თქუტურა გეთქმით?

ვალენტი. (ცალკე) მღვდავს, თუ მძინავს? რა მესმის ესა
და რასა ვჭხედავ

ოჰ! სიყურულო! ორიოდ წამი მომათმენინე!

ს ი ლ ვ. ოჰ! უბედურო შენ ჩემო თავო!

პ რ ო ტ. თქუტუნ უბედური მაშინ იყავით, მანამდისინ მე
მოგეწოდით; რომ მოგეწიეთ, მერე რა გიშავთ?

ს ი ლ ვ. რომ მომეწიე, კიდევ ეგ არის ჩემი წამება.

ჯ უ ლ. (ცალკე) აგრეთვე ჩემი.

ს ი ლ ვ. მე რომ დამხეულს ლომს დავეჭირე, იმის საუზმედ
ვჰყოფილგყავი, ის მერჩინიყო და ცრუ პროტეოსს
კი არ მენახა. გულთა მხილველო! თვთან შენ უწყი,
თუ როგორ მიყუარს მე ვალენტინი, რომლის სიცოცხლე
ჩემს სულზედ ნაკლებ არ მიმაჩნია; — ამოდენათვე, —
უმეტესად რომ აღარ იქნება, -- მძაგს მე პროტეოსს, --
ყოვლითურთ ყალბი, გაუტანელი. დამეხსენ ახლა, --
აიღე კელი შენს ურცხუობაზედ!

პ რ ო ტ. თქუტუნის გულისთვის რაც უნდა დიდი რამ განსაცდელი
გამოვიარო, განურისხებლად შემოხედვასაც
აღარ მაღირსებთ? რა არის ესა, თუ არა კრულგა
სიყურულისა, -- ქალს არ უყუარდეს კაცი, რომელსაც
ის დიდად უყუარს!?

ს ი ლ. კაცს არ უყუარდეს, როგორც პროტეოსს, ქალი, რომელსაც
ის დიდად უყუარს. წარმოიდგინე ჯულიას გული, --
პირველი შენი სათაყუანები, რომლისათვისაც

ათასჯერ მაინც შეგიფიცნია და იმდენჯერვე
ვგ შენი ფიცი გაგიტეხია ჩემის ტრფობისთვის!
სადა გაქუს გული, თუ კი რომ ორი არა გქონია?
და ორგულობას ბევრით სჯობია სულ უგულობა!
შენა ჰალატობ მენს მეგობარსაც.

პროტ ნეტა რას ამბობთ? ტრფიალებში ვინ დასდევს მერე
მეგობრობასა?

ს ი ლ ვ. ყოველი კაცი, პროტეოსს გარდა.

პროტ. რა კი აგრეა, თუ ტკბილის სიტყვთ ვერას გავხდირა
და სიბრალული ვერ გავრძნობინე, — მე მოგეპყრობი
როგორც სალდათი და ისე შევსტული ტრფობის ბუნებას!
რომ თუ არ ნებით, ძალათ გიშოვნო!

ს ი ლ ვ. შენ დამიფარე ყოვლად-ძლიერო!

პროტ. მოჰხდეს რაც მოჰხდეს! ძალას მოვიხმარ

ვალენ. იქითა! მხეცო! ააღე წმინდას გასერილი კელი;
შენ, მეგობარო, ყოვლად მცბიერო!

პროტ. ოჰ! ვალენტინი!!!

ვალ. დაუნდობელო და უგრძნობელო ცრუ მეგობარო,
ყოვლის სიმართლის გამცრუებელო, საღმრთო კავშირის
დამარტუშეელო! როგორ უნდა ეთქუა, რომ მეგობარი
მყოლოდეს მეცა? ხომ გამამტყუენს! როგორღა ენდოს
კაცი კაცს, როცა მარჯუტსნე კელი ჰალატობს გულსა?
ესწუხეარ, პროტეოს, რომ ამას იქით ვეღარ გენდობი
და ქტსყანასაც შენის შიზებით უნდა განვმორდე!
მეტად მკუთლელია ეს შენმიერი ჩემი წყლულება.

ოჰ! რა დრო არის, საზარელი დრო, რომ ყოველს მტერზედ
მეგობარია უმძუნვარესი!

პ რ ო ტ. სულ დამარღვია მე ამ სირცხვლმა, ამ საზარელმა დანაშაულმა! სულგრძელო ძმაო! გულშემმუსრველი მწუხარება და სულის კატანჯვა სინანულისთვის თუ რომ იკმარებს, ვინანი მწარედ! და ენდე ღმერთსა! ეს აღსარება ისე მძიმეა, როგორც მძიმეა ჩემი უზომო დანაშაული.

ვ ა ლ. კმარა! გენდობი. ვინც რომ სინანულს არ შეიწყნარებს, არც ცას ეკუთვნის, არც ქუტყანასა. უზენაესის რისხუაც წარივლის, სადაცკი ჰნახავს წრფელს სინანულსა! შეგინდობ გულით, ძმაო პროტეოს, და ამის ნიშნად შენ გითმობ ყველას, რაც სილვისასი მე მეკუთვნოდა!

ჯ უ ლ. ვაჰ, მე უბედურს.... (გული შეუწუხდება.)

პ რ ო ტ. ამ ბიჭს უყურეთ!...

ვ ა ლ. რა იქნა, ბიჭო! რა დაგემართა? გააღე თვალი, ხმა გამოგვეცი!

ჯ უ ლ. ოჰ! მომიტევეთ, თქუტსნი ჰირიმე! ჩემმა ბატონმა ამ სინჰორასთან ერთი ბეჭედი გამატანა და-- დამეიწყებია,--არ მიმიცია!

პ რ ო ტ. სადა გაქუს ახლა შენ ეგ ბეჭედი?

ჯ უ ლ. აჲ, აქ გახლავს. (აძლევს ბეჭედს.)

პ რ ო ტ. მაჩუტნე ერთი! ამას რას ვაზნედავ? ჩემი ბიჭედი, მე რომ ჯულისას ვაჩუქე, ისა?!

ჯ უ ლ. ოჰ! ღმერთო ჩემო! რა მემართება? ეგ ის არ გახლავს! აჲ, სილვისას რომ გაუგზავნეთ. (სხუა ბეჭედს აძლევს.)

პ რ ო ტ. ეს ვილამ მოგცა? მე რომ ჯულისას საწინდრად მივეც

სწორეთ ის არის! ვინ მოგცა შენა?

ჯ უ ლ. თუთან ჯუღიაჲ. თუთან ჯუღია გიბრუნებთ ახლა!

პ რ ო ტ. როგორ ჯუღია?

ჯ უ ლ. ვინც შენის ტრფობის საგანი იყო, ვინც შენი ფიცი ამოუტხვრელად გულს დაინერგა,--თუმცკი ცდილობდი შენის ლალატით ამოგეგლიჯა, აქა დგას ახლა! ამ ჩემს ტანსაცმელს რომ ჰხედავ, უნდა შესწუხნდებოდეს; სირცხული უნდა შეგაწუხებდეს ამ გვარად მოსილს მე რომ მიყურებ. შეუსაბამოს მორთულობაში განსაკიცხავი თუ არის რამე, ისევე შენის სიყუარულითა,--და შენვე გმართებს, რომ სწითლდებოდეს. მე სუნიდისი სულ ვერ დამქენჯნის. ტანისამოსის გამოცუთლით ქალი იმდენათ მაინც ვერ დამდაბლდება,--როგორც რომ კაცი გრძნობის ცელილებით იმდაბლებს თავსა!

პ რ ო ტ. „როგორც რომ კაცი გრძნობის ცუთალებით“! ოჰ! მართალს ამბობ! ღმერთო ძლიერო! კაცი რომ სიტყუას მტკიცედ იცავედეს და არა ჰსცუთლიდეს, ყოველითურთ სრული გამოვიდოდა. ახლაკი მარტო ეს ნაკლებობა

გვაესებს ყოველის ბიწიერებით, დაუდგრომლობა თუთანვე არის თავისი მტერი. კაცმა რომ მკითხოს,--რასა ვჰპოვებდი მე სილვიაში, რომ ჯუღიასაც

არა ჰქონიყო, ჩემს გრძნობაზედ რომ მტკიცედ ვმდგარიყავ?

ე ა ლ. მაგას თუ ამბობ--მაშ თქუტსნი კელი! ბედნიერებას ნუ მომიშლით რომ ეს სახიერი თქუტსნი კავშირი

მე დაგილოცოთ.--

პ რ ო ტ. ღმერთმან ხომ იცის, ახლა ამიხდა უნეტარესი ჩემი სურვილი.

ჯ უ ლ. და მეც აგრეთვე.

შემოვლენ თულები, ღუკი და თურიო.

თ უ ლ ე ბ ი. საშოვარი! საშოვარი! საშოვარი!

ე ა ლ. იქით დადქით! ვერა ჰხედავთ, რომ ღუკი ბძანდება?
თქუტუნო უგანათლებულესობავ! მე უბედური
და განდევნილი ვალენტინ მრავალს თაყუანის ცემას
მოგახსენებთ.

ღ უ კ ი. სინჰორ ვალენტინ?

თ უ რ. აგერ სილვიაც, ჩემი სილვია!

ე ა ლ. იქითა, თორემ--მოგკალ, ეს არის. კელის შეხება
როგორ შეჰხედვ. ჩემს გულის-წყრომას გირჩევ განშორდევ.
ვერონას ნახვა თუ კიდევ გინდა, ჩემი არისო,--
აღარ გაბედო; კელი რომ ახელ მაგით გათავდეს,--
და მაგას გარდა სულის შებერვაც აღარა ჰკადრო!

თ უ რ ი. სინჰორ ვალენტინ! მე სულაც არა, სულაც
არ ვჰხრუნავ

მე მაგისთვისა. ისე სულელი არა ვარ მე, რომ
იმ ქალისათვის თავი გავსწირო, რომელსაც რომ მე
სულ არ უნდოვარ. მე რას დავეძებ, რა მენადვლება!
ისევ შენ დაგრჩეს.

ღ უ კ ი. სწორე უნდა ვჰსთქუა, მე არ მეგონა, რომ
შენს მხურვალეს

ვედრებას მერმეთ, კელს აიღებდი აგრე ადვლად
და აგრე ცოტა მიზღვისათვის. შემცთარი ვიყავ
და აღვიარებ.--და შენ. ვალენტინ! კაცურ კაცი
შენა ყოფილხარ და სიყვარულიც შენა გქონია.
ახლა იცოდევ: რაც რამ გვწყენია, რაც რამ საწყობრად

გვექონია ჩუპნა, მე აქ ვივიწყებ და ისევ გიწუტვ
ჩემს სასახლეში. და რადგან შენის ღირსების ჯილდოდ
ეს არ იკმარებს,—სინჯორ ვალენტინ! ქალსაც შენ გაძღვე!
შენა ხარ ძუძულის შთამომავლობის კეთილშობილი,—
თვთან შემკული მრავალ ნაირის სათნოებითა.
მამასადამე ჩემი სილღიაც შენზედ უყვითესს
ქმარს ვერ იზოვის.

ვ ა ლ. მგზნებარეს გულით გმადლობთ, უფალო! ამაზედ მეტო
ბედნიერება, ღმერთმა თუ იცის, მე არ მენატროს.
მაგრამ ერთი სხუა ვედრება კიდევ გამაბედვინეთ
თქუძნის ასულის სადღეგრძელოთა.

დ უ კ ი. თვთან შენთუცა გაგაბედვნებ, რაც უნდა იყოს,
ვ ა ლ. ჩემს ამხანაგებს რომ ჰხედაეთ აქა, დევნილ-არიან
კანონიერად, მართალი არის; მაგრამ ღირსებაც
ბევრიაქუსთ ამათ; და მიუტყვეთ ამათაც მათი
დამნაშაფობა! ნება უბოძეთ, რომ შინ დაბრუნდნენ.
რაც მე აქა ვარ, ვჰხედავ კეთილად გამოიციტულენ,—
კარგნი არიან, გულით კეთილნი, სასარგებლონი
და შეუძლიათ თქუძნის წყალობის დამსახურება.--

დ უ კ ი. სწორეთ მაჯობე! შეგინდობთ ყველას შენც და მაგათაც
და რადგან ამათ შენ უყვით იცნობ, დაბინავებაც
შენვე იზრუნე. ახლაკი მილანს! იქ გავათავოთ
ეს ჩუძიი საქმე ნადიმობითა, ლხინითა და სხუა
აყოველთაო მხიარულებით.

ვ ა ლ. ჩუძნს მგზაერობაში, მაქუს მე იმედი, ზოგი ამბავით
არ მოგაწყინოთ. ამ პატარა ბიჭს როგორა ჰპოვებთ?

დ უ კ ი. უცხო ბიჭია! რათა ჰსწითლდება?

ვ ა ლ. იმიტომ რომ ისე ბიჭი არ არის, როგორც უცხოა.
დ უ კ ი. მე ვგ არ მესმის!

ვ ა ლ. გზზედ გაიბოზოთ. ბევრს ვაიკვრებთ. წაშო, პროტოს!
შენს დასასჯელად, შენც გაგაგონებ მოთხრობას შენის
ტოფიალებისას;--ლა მერე ჩუქნი ქორწინების დღე
ქორწინების დღედ თქუქნთვსაც იყოს,--
რომ შევაერთოთ სიამოვნება, ბედნიერება
და მოსახლობა. —

დასასრული.

„ცისკრის“ რედაქციისაგან.

ამ დრამის ანგლიურადამ თარგმნაზედ ჰქონდა ქართულად
მთარგმნელს შესადარებლად საუკეთესო ფრანცუზული თარგმანი
ლაროშისა და რუსულად კეტჩერისა, მაგრამ ქართულმა მთა-
რგმნელმა ჰპოვა, რომ ადგილ-ადგილ ვერ არის სწორედ გადმო-
ღებული შექსპირის სიტყუბი, ამისათვის იმას მოჰყავს კელ-
ნაწერში ნამდვილი სიტყუბი შექსპირისა. მაგრამ რადგანც ჩუქნი
სტამბაში ლათინური და ფრანცუზული ასოები არ მოიპო-
ვებოდა, ამისათვის ეს ნამდვილი სიტყუბი, ბეჭედაში ვერ ეიხმარეთ.

ამას გარდა, როგორც თვთ მთარგმნელმა უფ. დიმიტრი
ყიფიანმა მოგვანდო, უნდა მოეხსენოთ მკითხველებს, რომ
ეს დრამა ითარგმნა სცენაზედ წარმოსადგენად ჩუქნი სასცენო
კელოვნების საცდელად, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდა,
ამის გამო გადმოგვეცა დასაბეჭდავად. რედ.

გამოცანა.

(ეუძღენი ჩემს მოყვარეს).

ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტეირი;
ჩოჩრისაგან გაიზდება მხოლოდ დიდი ვირი!...
საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი,
გამოიცანთ ვიზედ ვამბობ ამას და ვის ესტერი?

როდესაც ვარდი დასკნდება, აღარ ჰყეფს ბუღბუღი,
მეგობრები გვმორდებიან თუ დაგეკლდა ფული;
ლომიც ხშირად გვინახავს ჩვენ კულ-მოძუებული,
აბა მიხვდით ვიზედ ვანბობ? ვისთვის მიწუხს გული?

არ შეენის ვირს უნაგირი, მოუხდება კები,
ბრიყვი არ დაჭკვიანდება, გინდ გადავლოს ლიხი,
ლიხს აქეთ თუ ჩოქმი უთხრეს, იქ მიელის: ხი! ხი!
აბა სცანით ვიზედ ვანბობ? ვის უყვარს: ხი! ხი! ხი!

პირუტყვია, თუ გამაგრდა კაცის შუბლზედ კანი,
ნეტა სწავლას რათ იჩემებს, ვისაც უჭირს ანი?
შერცხვეს კაცი ბოროტი და თვის ძმის არ გამტანი!
ამ სიტყვებით ვის ვიგონებ, მკითხველო შენ სცანი!

და ტროადელის გმირისა, ვის ჰქვიან საკელი?
ენა გესლით ვის უყარს და გულში უძვეს გველი?
ახალ გაზდა ქართველების ვინ არს მურიტ მკვლელი?
ამის ახსნას გამოცნობით მკითხველისგან ველი!...

აკ. წერეთელი.

4

მე შევიქენ ათის წლისა და დედაჩემი არას ჰფიქრობდა ჩემზედ. უკანასკნელ ბიძა ჩემმა (დედის ჩემის ძმამ — ესენი მამით ერთნი იყუნენ, დედით კი სხუა — და — სხუანი) ჩააგონა დედა — ჩემს (გიკურდესთ სულ-გრძელი და საკვრელი სიკეთე ბიძაჩემისა!) რომ დრო იყო მივეცე მე საწავლებელში და უჩუპნა ამისათვის გზა და საშუალობაც. ბიძი ჩემის რჩევით, ანუ სწორეთ, ძალდატანებით, დედაჩემმა საკუთარი მოახლე გაყიდა იმერლებზედ ოც თუმნათ, ვგრეთვე გაყიდა საკუთარი ვენახი, მიწები, ტყე, წისკვილი (თავის დედის მემკვიდრეობა) და თავისი სამკაული ასს ოთხმოც თუმნათ. ეს ორასი თუმანი მაშინვე გამოართო ბიძაჩემმა დედა ჩემს გასაცემად იმ აზრით, რომ ამ ფულის სარგებლით მე უნდა გამოვზდილეყაე ქალაქში, თავნი კი უკუდავი ყოფილიყო.

სამინელი საცოდაობა დასტრიალდა ჩუპნს სახლში. ჩემი გამზრდელი, ჩუპნი მოამაგე და თავ შეწირული თუალ ლამაზისა სტიროდა. გმინავდა, თმებს იგლეჯდა, ლოყებს იკაწრავდა, მუხლ დაჩოქილი ევედრებოდა ბიძა ჩემს, არ გაეყიდნა, საწყალი სხუა ქუტყანაში, არ მოემორებინა ჩუპნთვის; მაგრამ ბიძაჩემი არ დარბილდა. დედაჩემი და ნამეტნავათ, მე ვებეწებოდით მდულარის ცრემლით დაეტეებინა ჩუპნთანვე თუალლამაზისა, — არ იქნა, პირ-ჯუთარი ვერ დავწვინეთ. ბიძაჩემი არა სჯეროდა ასს ოთხმოც თუმანს, მამულის ფასსა, რომელიც მოიგდო ხელში, სულის-მწარით უმწერდა ორმოც თუმანს, თუალლამაზის ფასსა; დედა

ჩემი მით დაამშვიდა, ანუ სწორეთ, მით მოატყუა, რომ ფული ჩემთვის იყო საჭირო, მე კი ვერ დამამშვიდა. მაგრა ჩაკრულები, მე და გამზდელი, ერთმანერთს თავს არ ვანებდით, ერთმანერთს მწარეთ შეეტიროდით. მამინ გამმაგებულმა ბიძა ჩემმა მტაცა მე თმაში ხელი, ამომგლიჯა თუალლამაზისაგან და გადმისროლა ადგილზე. მე აქეთ, გამზდელი იქით დავეცით გულშემოყრილები; გულშემოყრილი თუალლამაზისა იმერლებმა შემოისვეს ცხენზედ და წაიყვანეს იმერეთს. დღესაც არ დამეწყებია ეს ამბავი, დღესაც გულ-მტკინეულად ვიგონებ საბრალო ჩემ გამზდელსა, ვტირი, ვიტანჯები და ნუგეში ვერსად ვპოუ.

დღეა ჩემი იყო როგორც მეხ დაცემული, აღარ ჰქონდა სიტყუა, არც აზრი, ჭილოსოჭიამაც ვერა უშველარა. ასე გახდა ამიტომ, რომ ნამდვილ სიცოცხლეში არა სცხოვრობდა, ესე იგი, არ ებრძოდა თავისხ ნებასა, თავის გულს არა მმართავდა, გონებას არა ღალავდა სასარგებლო და საფუძელიან საგნებზედ, სიტყვით, გონებით და ხელებით არა მუშაობდა; ამიტომაც ამ უდებობისათვის სასტიკათ გადახდა; ამიტომაც ბიძაჩემმა ასე უსამართლოდ იუფლა იმაზედ; ამიტომაც საწყალი ტანჯუაში და სიღარიბეში აღსრულდა. ოჰ, დედაჩემო, მამიტყევე ეს შენზედ წარმოთქმული სასტიკი სიტყუა! ამას როგორ გავბედავდი, თუ რომ ბიძაჩემს აესრულებინა თავისი პირობა, რომელიც შენ მოგცა, თუ რომ შენთვის მაინც ეპატრონებინა, გამოეზარდე, შეემოსე, ავთ-მყოფობაში მოეელო შენთვის და შენ იმისს სამსახურში სული არ დაველია!

ვკითხამ ყველას, ცეცხლში მომწყვედეთუღს არ შეეპატრო-

ნებიან? წყალში ჩაგარდნილს არ მიემტობებიან? არა, ჩუბნში ვგრე არ არის; ჩუბნში ყოველივე უკუღმა არის. ვინ რას დასდევს, ვინც უნდა ცეცხლში დაიწოს, ვინც უნდა წყალში დაიჩხოს! მეტყეით: „სტყუიო, ცეცხლში და წყალში ვინ არ მიემტობებაო? — მე არა ვსტყუი, გარწმუნებთ; ნუ თუდედაჩემი და ჩემი გამზღელი ცეცხლში არ იხრუკებოდნენ? ეჰ, დროა იცნათ და დაფასოთ ჩუბნი საზოგადოება! აბა, თქუბნიპირივე, ამ საზოგადოებით თავი როგორ არ უნდა მოგეწონდეს, როგორ არ უნდა ექადოდეთ და ვამაყობდეთ! რაო? ნუ თუ ვალი არ ედვით ჩუბნ ნათესაებს, მეზობლებს და მცნობებს გამოეხსნათ ტყუბობისაგან მოამაგე თუაღლაშისა, მოეთხოვათ ანგარიში ბიძაჩემისაგან ორასი თუმნისა და ეპატრონებინათ დედაჩემისათვის პირველიდგანვე, რა ნახეს ამისი სისუსტე ხასიათისა? გარწმუნებთ უცხოც კი შეძლებდა ამას, არა თუ მანლობელნი, რასაკუჭრეელია, თავდაპირველად ჩაგონებით, მხილებით, საყვედურით მერმე... ეჰ, რადენი საშუალობააკეთილ საქმისათვის, თუკი მოინდომებს ვინმე! ნუ იტყეით: „ყოველივე ეს უძღვლებელიაო, ამიტომ რომ ყველა თავისს გულის ნებით დადისო და ამისგამო არ არის ჩუბნში საზოგადოებაო და ვერც შესდგებაო. — მე ამ აზრის წინააღმდეგი ვარ: საზოგადოება ადვილად შესდგება კეთილის საქმის მოსაქმედათ თუ კი მოვინდომებთ, — დაიწყონ ორმა სა და მყისვე მრავალნი მათ მიემყენიან, — და მამინ, გარწმუნებთ უსინდისო შემძინებლებიც, ცბიერნი მტაცებლებიც, აშკარა მტაცებლებიც. ყოველი ავაზაკი ასე შეუბოვრად თავისს გულის ნდომას ვერღა აასრულებენ, როგორც ეხლა ადვირაუსხმელად ტლინკაობენ. რა შეამატება ი?

დაერდომილსა, იმ გაქურდულსა, იმ გაცარცენილსა, თუ ათასში ერთხელ მიუგდებთ ერთ ორმანათსა ან ძტსლ ტანისამოსსა, ან ორიოდეკოდ ჰურსა! ამათ ეჭირებათ თქუსნვანარა ფილანტროპიური, არამედ ძმური (ქრისტიანული) დახმარება. როგრც შემძლებელმა ძმამ ღარიბი ძმაუნდა გაიტანოს, ვგრეთ სწოგაებამუნდა უპატრონოს, გამოზარდოს ყოველი დაერდომილი თავისა წვერი, რომელსაცუნდა დაუბრუნოს ყოველი, რაცკი ჰქონია მოტაცებულნი ვისგანმედა თუ არა ჰქონიარა — შეესრულოს. დიდ სოფელში შეიძლება შესდგეს თითქმის ორი საწოგადოება, ქალაქში ოციც შეიძლება. ყველა საწოგადოებამ თავისს შეწუხებულს ან დაერდომილს რომ უპატრონოს, გარწმუნებთ, ყველა ბედნიერი იქნება, ბოროტმოქმედება კი შემცირდება.

5

ოც-და-ათის წლის წინათ ავანანთ ხევი არ იყო დახურული, არც იყო მაზედ ეხლანდელი შენობები. იმ დროს, ამ ხევ გაღმა, მუხრანთან ხიდის სიანლოვეს იდგა სახლი — საქათმის მზგავსი ძტსლი ქოხი, რომელშიაც თავსდებოდნენ მოხუცი კაცი მარტირუზ ჰეპანაშული, მახოხის გამსყიდავი, ცოლი იმისი ოსანა და გასათხოვარი ამათი ქალი. ერთათ-ერთი დამტვრეული ტახტი ედგათ ამათ, რომელწინდაც ეშალათ ჭილობი და გაქეციანებული, ალაგ-ალაგ ამოქმული ხალიჩა. სახლს ჰქონდა ორი დოლაბი, ერთი ჭუჭყიანის და დამპალის ლოგინის დასაწყობად, მეორეში ეწყო ავეჯი სახლისა: ხოხონა ლიტრები, ჟანგიანი ქუბაბი, საჭრაქე და სხ; ჭერი სახლასა იყო დაბალი და დაობებუ-

ლი, რომლიდამ სცოდა სხუა-და-სხუა ჭია-ლუა; ამასთან სახლი იყო გაულესავე და ნოტიო. ამ სახლში ჩამომი-
 ყუანა მე ბიძაჩემმა. ამ სახლში მომცა ბინა მომვლელათ
 მომიჩინა მარტიუხადაოსანა, რომელსაც განუწესა წელიწადში
 ოცი კოდი პური, თორმეტი კოკა ღვინო და საკლავი; გარ-
 ლა ამისა ბიძაჩემმა აღუთქუა ოქროს ზოდები; დასამტკიცე-
 ბელად თავისს აღტქმის გაუტეხელობისა ერთი თუმანი —
 თეთრი მანათები — მამინვე მისკა და იმ დღეს კარგი სა-
 დილი გააკეთებინა; მე მიყიდა ინისფერი დიმიკიტონის კაბა,
 შალვარი, წადები, ერთი რუსული ანბანი, მიმაბარა გიმნა-
 ზიაში, ამით გათავდა მზრუნველობა საყუარელი ძიასი ჩემ-
 ზედ! თუთან კი მოირთო, — და როგორ მოირთო! ხვერდის
 ქულაჯით, ატლასის ახალუხით, მაუდის ჩოხით, შალვრით,
 ჩექმით, ბუხარის ქუდით, ოქროს საათით, თოფიარალით და სხ; იყიდა
 კარგი ცხენი, ცხენის იარაღი, ხარ-კამბეჩები, დანამთენი დედიჩემის
 ფული ისე უხვათ გადააბნია დროშკებზე, ბალებში დასაზანდრებზე,
 თითქოს იმ იმედით, რომ წლის თავზე მოიმკოდა ერთი ათათ.
 ასე ჩემმა გულმტკინვეულმა და მზრუნველმა ძიამ, გამკუ-
 რდა და გაცრცენილი დამაგლო პეპანაშვლების კერაზედ.
 როგორც ფრთებ დაგლეჯილი მფრინველი. პეპანაშვლები
 სიხარულით კინალამ დაგიჟდნენ, და ან კი ნამდვილად რო-
 გორ არ გაგიჟდნენ, რა დაინახეს უცებ ხელში, რაც თავისს
 დღეში არ ენახათ — ათი ვერცხლის მანათები — და რა
 გაიგონეს აღტქმა კალიფორნიისა, რომელსაც დიდხანი ნა-
 ტრობდნენ და მსწრაფლ აღუსრულდათ ნატრა! იმ ჟამს
 ხარობდნენ და იმუტებდნენ ბიძაჩემი და პეპანაშვლები, მე და
 დედა ხემი კი ვიტანჯებოდით და ვგლოვობდით მომავალს

ჩუბნუნედ უღარესს უბედურობასა, თითქოს ჩუბნ კაცი არ
 ვიყავით და არ გვეჭირებოდა ლხენა!

8

ენით ვერ მოითქმის, კალმით ვერ დაიწერება, გამოხა-
 ტულობით ვერ წარმოიდგინება ის, რაც მე მოვითმინე
 პეპანშვლების სახლში. რიცხვი ჩემის ცრემლებისა, რიცხვი
 ჩემის ოხერისა, რიცხვი ჩემის კენესისა უთვალავია. ოთხი წე-
 ლიწადი დაეყავ პეპანაშვლებთან და ერთი ღლე კეთილი
 არ მინახავს. ვიწექ ნოტიო ადგილზე, ზამთარში ყოველი
 ასო მეყინებოდა, ზაფხულში კია-ლუასაგან არ მქონდა
 მოსვენება; ხშირათ ფეხთ არ მეცო, ხშირათ ტურტლიანის
 და დაგლეჯილის ტანისამოსით დავიარებოდი ხალხში, საჭმე-
 ლათ მქონდა მხოლოთ ცარიელი პური, ისიც ერთ გირვა-
 ნქამდინ ღლეში, — ესეთი იყო ხორციელი ჩემი ტანჯუა;
 ზნეობითი ჩემი ტანჯუა იყო უღარესი: სირცვილის
 ალი მწომდა როდესაც გარეთ გავიდოდი, და შინ პეპანა-
 შვლების საყვედურებით მეგლიჯებოდა გული; ამასთან გიმ-
 ნაზი ჩემი ტოლები, ჩემი მასწავლებლები დამცინოდნენ,
 ყოველ ღლე მაყვედრიდნენ ჩემის მშობლების სიძუნწესა,
 ჩემს მიუხედ-მოუხედაობასა, დაღრეჯილობასა, უწმინდუ-
 რობასა. ფეხთ და ტანთ შიმეღიანობასა. — საზღუარი
 არა ჰქონდა ჩემს მწუხარებასა: ღამე ვსტიროდი, ღლე ვიწო-
 დი სირცხვილით, შიმშილით და სიტეტელით. ამ საშინელებას
 დაემატა სხუა კიდევ უმსგავსი ტანჯუა: პეპანაშვლის ცოლი
 ყოველ შუალამისას, — ასე გამინჯეთ ზამთარშიაც კი, — ამჟი-

დებდა სარეცსა (მოსარეცხე იყო), წამაღებინებდა დაბახანაში და ღარეცხილს გათენებისას მომატანინებდა ზურგით; იმათი წყლას მზიდავიც მე ვიყავ. ამ ტანჯვაში გავატარე მთელი ოთხი წელიწადი და ნუგემის მცემელი არ საით გამომიჩნდა! ერთხელ შევხვდი ანჩისხატის წინ ოთხს საპატრივო გუბამებს, რომელთაც საკუთარი ყურადღება მოაქციეს ჩემზედ. ერთმა იმათგანმა ჰკითხა სხატებს ჩემზედ: ეს დაღონებული ყმარწვილი ვინ არისო; ხშირად ვხვდავო ესრეთ დაღონებულიოსა და ვგონებ არ უნდა იყოსო უბრალოთაგანი. — მეორემ მიუგო: ეს არის შვლი ჩუტნის...მწარადისა.--რას მიბძანებ, თქუტუნიჭირიმე, ჩუტნი....მწარადის შვლია ესა?--- დაახ, უპასუხა პირველმა.---საწყალი....კარგი....შვლი იყო და მალე გამოერჩია ჩუტნიში! ამითი გათავდა ჩუტნი გაცნობა; მე წავედი შინ. ერთმა ამ საპატრივო გუბამთაგანმა მიცნა, მეორეთ გამიცნეს, შეიტყეს რომ ვიყავი იმათი მეზობელი და ნათესავი შორეული, და არც ერთმა არ მიმიღო, ზრუნვა არ ჰოიღო ჩემზედ, არ შემიბრალა, არ შემმოსა, ღხენა არ მოსცა ჩემს დაღონებულს გულს, ნუგემი არა მცა! გული მამიკუტდა ამით უგრძნობლობისაგან და მე შეედრიალე ცას, როდესაც მოემორდი იმათ: ოჰ, როდის აქნება მესვდე მე კაცსა!

7

ოთხის წლის შემდეგ პეპანაშვლებმა გამომავდეს სახლიდამ. თუმცა ვიყავ ქუტყანაში გამოსალმებული, დამდაბლებული და ჩაგრული: მასხარათ ავდებუბული, ტანჯული, მტირალი, ნაღვლიანი, მიუსამართლო, მშიერი, შიშველი, ჯავრისაგან შემფო-

თებული, მაგრამ ესრეთმა ცულმა გარემოებამ ნიჭი სწავლისა და მიხვედრილობისა არ დამიბნელა, არ დამისუსტა. როგორც მწყურთიელი მივარდება სიხარბით წყალსა, ეგრე სიხარბით ვიპარავდი და ვითვსებდი მას, რაც კი ჩემს ყურებს მოხედებოდა მასწავლებლებისაგან. ამათი სიტყვები და ახსნა რომელიმე საგანისა მებეჭდებოდა გულზე; ჩემს თავს ძალას არ ვატანდი, ყოველივე მელაგდებოდა გულში თითქმის თავისთავათ, გონება გამეხსნა და არ დავრჩი შორს ჩემს ტოლამხანაგებთაგან. როდესაც გამომაგდეს პეპანაშვილებმა, მაშინ მე გამიყვანეს მესხეთეში, და რალაცა ნუგეში მომეცა, რომელიც მარწმუნებდა, რომ მე არ დავრჩებოდი უბინაოთ და უსაზღვროთ მართლაც უცებ მამებარნენ მე ხუთი პაწაწკუნა ყმაწვილები, რომელნიც მაძლევენ თვეში თუმანს. შემდეგ შევირდები გამამრავლდნენ და ფული, ხარჯ გარდა, მრჩებოდა. დავასრულე კურსი; მევედი სამსახურში. მაშინ უჯრო გაეარცვლე ჩემი შრომა. სამსახურში ვიყავ პატივცემული, რადგან პატიოსნათ ვალსრულებდი ჩემს თანამდებობას; გარე სამსახურისა შევიკრიბე შევირდები; შეძლება ცამიჩრავლდა ასე, რომ ორს ობოლს ყმარწვილებს ვზრდიდი ჩემის საკუთმრის ხარჯით. წარმატება მქონდა სრული, მე ვიყავ ბელნიერი, ჩემს გულ მიეცა სრული შეება, ლხენა, ვიგემბედი გამოუთქმელ სიხარულსა მით, რომ ჩემი ზრუნვა, ჩემი ოფლი, ჩემი ხარჯი არ დარჩნენ უნაყოფოთ: ჩემი აღზდილები საუცხოვოთ სწავლობდნენ, ზნეობით და ცოდნით სხუა შავირდებთაგან ირჩეოდნენ როგორც მაისის ვარდი ველურ ყვავილებთ შორის; ნამდვილ გულმოღვინეობით, წმინდა სურვილით ვთესდი თესლსა ზნეობისას, სწავლისას და კა-

ცმოყვარეობისას, და მრომა ჩემი არ ჩამიფუჭდა, კეთილი თეს-
ლი დაეცა კეთილს ქუტყანზედ; ჩემი გაზდილები, და ნამე-
ტნაეთ ჩემ ხარჯზედ აღზდილები კურს დასრულების შემ-
დებ გაბედნიერდნენ. ესენი მე მიყურებდნენ როგორც ტე-
გილს მამასა, მათ უყურებდი როგორც ტუბილს შვლებსა და მათ-
ით ეხარობდი. მაგრამ ბედნიერება და სიხარული მალე მომეღო,
თვთქას მე სიხარულისათვის არ ვიყავ დაბადებული. მე შევირთე
ცოლი, ცოლი მეტანდა საუცხოვო. ყოველის მხრით კარგი, ხასი-
ათებითა, ხელითა, გონებითა და ზნობითა; სახლიც ვიყიდე. --
ჩალა მიჭირდა: აი, რა. სიდედრი მიმწარებდა სიცოცხლეს ამიტომ
მხოლოთ, რომ ნაცვლად ორის ობოლისა, რომელნიც მე აღე-
ზარდე ჩემის ხარჯით და რომელნიც გავიდნენ ჩემგან შემდეგ ქუ-
რს დასრულებისა, მე ავიყუანე კიდეც ორი სხუა ობოლი
ჩემს ხარჯზედ; სიდედრი მეჩხუბებოდა, გაყად, სულელად
მხადიდა, ამ ყმაწვილებს რომ ვინახავდი, ვაწავლიდი და
სრულს მამობრივს ზრუნვას არ ვაკლებდი. — დაითხოვე
ყმაწვილებიო, მეჩხუბებოდა სიდედრი. ეს დედაკაცი იქამდინ
იყო კაპასი, რომ არც ქალსა არც მე იოტისოდენ პატავს
არა გეცემდა, დაითხოვეთო ყმაწვილები, გვეუბნებოდა, და
მეც ცხოვრებას დაგიშვიდებთო; სამჯერ თვთან დაეთხოვა
ჩემის სახლიდამ ყმაწვილები, მაგრამ მე ისევ მივღე და
ჩემი ნება აღეასრულე; ისევ ვარჩიე სიდედრს შეეძულებო-
დი, მრავალჯერ დაეთხოვე ისი სახლიდგან, არ იქნა, ვერ
მოვიშორე, ძალით გვივარდებოდა სახლში; ამ ტანჯუას და-
ერთო სხუას აჰოვნებაცა: არა ვის სჯეროდა, რომ მე ჩემის ოფ-
ლით, ჩემის ზომიერის ცხოვრებით შევიკრობე მცირელი ფუ-
ლი, რომლითაც ვიყიდე სახლი; ყველა დარწმუნებული იყო,

რომ სახლი ვიყიდე ქრთამებით, ყველა დარწმუნებული იყო, რომ მე რახან ვიყავ ჩინოვნიკი. ქრთამსაც უთუოთ ავიღებდი. ამ ხმამ შეუცვალა მთავრობას ჩემზედ კეთილი აზრი და შევიქენ მე დევნული; ბოლოს იქამდინ გამიჭირეს, რომ მე გავვიღე სახლი, ფული ზოგი მე მოვიხმარე, ზოგი ყმაწვილების აღრზდაზე მოვანხმარე. მაინც კიდევ ამანაც არა მიმეილარა, ხმა მოქრთამობისა ისევ-და-ისევ ჩიშვდ მოისმოდა. უკანასკნელ ერთმა შემთხვევამ სრულიად მამილო ბოლო. ერთ უშველებელ დათე-კაცს წაეგლო ბიჭი ვინმე ფებქუტში და უწყალოთ სცემდა; ბიჭი ვედრებოდა გამეღელ-გამომვლელს მიმველებოდნენ და ვერავენ ჰბედავდა მიჰკარებოდა უწყალო მძლეველსა; ამ ჟამათ მე შეეხდი და მივემველე სჯოდავ ბიჭსა; მე მხოლოთ მშვიდობიანად უთხარი დათე-კაცსა: ცოდვა არ არის, როგორა სცემ პატარა ბიჭსა, რომელსაც ძალა არა აქვს წინააღმდეგობა მოიხმაროს! დათე-კაცმა ბიჭს თავი დაანება, მე მტაცა საყვლოში ხელი და წამათრია პოლიციაში. აქ დათე-კაცმა ისეთი ცილი შემომწამა, რომ მე გოაცებული იმის უსინდისობისაგან, დავჩი რადენიჰე წამს მუწჯათ; და თუმცა მამინეე გამოვედ ამ სასაცილო შემთხვევისაგან განთავისუფლებული და დათე-კაცი განტყუნებული, მაგრამ შედგომილება ამ სასაცილო შემთხვევისა იყო ჩემთვის ცუდი: მტრებმა მოახსენეს ამ საქმეზედ ჩემს მეუფროსებს და მე მეორესეე დღეს დავიარეე სამსახურში ადგილი....ამ სახით სიყმაწვილოდგანვე ვიყავ ავაზაკებისაგან დაწყურლებული და გაცრცეწილი და ჩემ სიცოცხლეში არც ერთხელ არ გამომიჩნდა დამხმარებელი სამართელი! დამხმარება ერთმანე-

თისა საჭიროა, უამისოთ ბედნიერება და კეთილცხოვრება შეუძლებელია, და რადგან არა „გვაქტეს ერთმანეთის დახმარება, ავი. ამიტომ იშვიათათ ვინმე ცხოვრებს კეთილად!

8

ამ ჩემის ნააძბობისაგან სჩანს, რომ ჩემს არ ვიცით რა უნდა ვჰყოთ, როგორ ვიცხოვროთ. ამ ჩემს ნაკლულე-ვენებას, ჩემს გარდა, როგორცა სჩანს, სხუანიცა ჰგონობენ. 1860 და 1864 წლის „ცისკარი“ დაიბეჭდა ორი მოთხრობა: „მეჯღანუაშული“ და „მორჩილი.“ ორივე მოთხრობა გვიჩვენებს, რა უნდა ვჰყოთ, როგორ ვიცხოვროთ, — ეს არის ორისავე მოთხრობის ჰაზრი და დანიშნულობა: ბუნებით კაცი მიელტვის, ანუ ნატრობს შინცა, ბედნიერებასა. ბედნიერება წარმოსდგება ერთის მხრით სინილისიან შრომისაგან და გონების და გულის განვითარებისაგან, მეორეს მხრით თუ ჩემსნი მოძმენიც ბედნიერები არიან ეგოდენ, რადენ შეიძლება. „მეჯღანუაშული“, რაინდიძეები ცხოვლად გამოგვახატენ თავიანთის მოქმედებით და ცხოვრებით სწავლის სარგებლობასა, შმომის სიკეთესა და მხრუნველობასა თავიანთ მოძმეებზე. მეჯღანუას ცოლშუკსა რაინდიძეები მიიღებენ როგორც საკუთარ შუკსა, ზრდიან, ასწავლიან; არც ერთ დღეს უქმათ არ ატარებინებენ, და ისე ნარნარათ ექცევიან. რომ თერამეტ წელიწადის განმავლობაში იმათ თავისს მოყურება იოტის ოდენად არ გაეკაწრებათ. აი ნამდვილი ძჰური სიყუარული და შემწეობა. — ეს არ არის ფილანტროპიური ხელი-

საპკრობა, ჭილანტროპიური შემწეობა ამდაბლებს თავისს თუალწინ იმას, ვისაც შემწეობა ეძლევა. რაინდიძეების შემწეობა არის ქრისტიანული შემწეობა, ძმური შემწეობა, რომელიც ასს წილ მალლა სდგას და წმანდაა ჭილანტროპიზზე. ქრისტიანული შემწეობა არის ძმური. დღეს მალლა მურინაე თვედორე იძმაზს ღრმადდალა დაერდომილს ესტატესა, ხუალ ამალღებული ესტატე იძმაზს მალლიდამ ჩამოღარდნილს თვედორესა.--სოლომონ ისაიჩმა მაილო ესეთი მიმართულობა, რომ არა დროს ამ მიმართულობას არ გადასცდებოდა, თუ რომ ერთი რომელიმე ხელობა ესწავლა. აკი სოლომონ ისაიჩ თუთანე შეიგნებს ამასა, სწუხს და ნაღვლობს ამხნედ. ეს შეცთომა დარეჯან რაინდიძისას მოუხდა უთუოთ ამიტომ, რომ ვერ მოაშორა ობოლი დაჩაგრულ ქერიესა და კიდევ ამიტომ რომ სამოცისწლის წინათ ხელობის საჭიროებას აგრე რიგათ ვერა ხედავდნენ. რომ რაინდიძეების მოქმედებას და ცხოვრების მიმართულობას ძალი და ღირსება მისცემოდა, აეტორმა იმავე მოთხრობაში გამოსახა სახე და მიმართულება სხუ-და-სხუა ხელობის კაცებისა, რომელნიც უსინიდისოთ აძანებენ საუნჯესა. სიცუდე ამათის მიმართულებისა, ამათი ავაზაკობა და შედგომილება ამთ მოქმედებასა აშკარათ გამოსახულია იმ აზრით, რომ არც მეჯღანუშვლს, არც დანაშთენ მოქმედ პირებს არ მიებაძოთ, მიებაძოთ მხოლოთ რაინდიძეებს. მაგრამ, რა მოხდა! „მეჯღანუაშვლი“, (მოთხრობა) ერთთ ცვალივით მოედო, სხუათ ვარდივით გადღეინა გულზე. იმათ, რომელთაც გულზე გადღეინა ვარდივით, რაინდიძეებში, შეცთომით, დაინახეს თავიანთი თავი, ეგონათ აეტორმა ისინი აქო,

სიხარულით ჰაერში დაიწყეს ფრენა, რაინდიცებს კი არ მი-
 ბაძეს. ამიტომაც აეტორს არ შეეძლო არ გამოეცა „მორ-
 ჩილი ამ მოთხრობაში აეტორმა გვიჩუქა, ვინ უნდა ჰხადოს
 თავისი თავი რაინდიცედ, გვიჩუქა, რომ მხოლოდ ალექ-
 სანდრა და მარიკო არიან ნამდვილი რაინდიცეები, გვიჩუქ-
 ნა, რომ თეიმურაზი და გოჩუნა, ეკატერინე და თველე,
 გორჯასპი და ლიფსიმე, ეგრეთვე ვარსკვლავისა არა დროა
 არ არიან რაინდიცეები. დამდაბლებულსა და მიწასთან გას-
 წორებულს მოახლეს ალექსანდრა ზრდის როგორც საკუ-
 თარს თავისს დასა; გაუნათლებს სწავლით გონებასა, განუ-
 ვითარებს გულსა, — კაცთაქცევს, — ასწავლის ხელსაქმესა, და-
 აქენებს იმ წერტილზედ, რომელზედაც ყოველი კაცი უნდა
 იდგეს, და უქანასქნელ გაათხოვებს; ნამდვილად უყუარს
 მარიკო, ნამდვილად სურს იმისი ბედნიერება; დიდ ღუაწლს
 დასდებს და შეიქმს მარიკოს თავისს თანასწორად, ესე იგი,
 როგორც თვით არის, მარიკოს ისეთს შეიქმს: ჩაუდგამს
 თავისს ჭკუას, თავის გულსა, გამოაბამს თავისს ხელებსა,
 და თუ კი შესძლებოდა, მარიკოს მისცემდა თავისს ღირსე-
 ბასაც. — მარიკო აგერ სრული კაცია, მარიკო თავისუფლათ
 სჯის, თავისუფლათ მოქმედებს, თავისს თავს უელის, მარი-
 კომ ყოველი(?) ხელსაქმე იცის, მარიკო კარგა მოუფლის ქმა-
 რ — შვლსა, სახლ-კარსა, სარჩოსა. მარიკო არ დაშურებს
 სხვსთვის თავისს სწავლასა და შეძლებასა. მარიკოს უყუარს
 ქალბატონი გაგაქებით, ღირსეულად გადაუხდის ასეციკეთესა
 დაყენებს თავისს ბედნიერებასა იმ განუსაზღვრებელ დრომდინ,
 მანამ ალექსანდრა გათხოვდება; — დიდი მსხტპრპლია! ეს
 მსხტპრპლი ეთანასწორება ალექსანდრას მსხტპრპლსა. ალე-

ქსანდრას სიკეთე. დიდი შრომა არ დაეკარგა, იზღვია თანასწორათ. — ამასთან ალექსანდრა თავისს ტანისამოსს თვთან სჭრის, ჰკერავს, თუმცა ჰქონდა სწამლობა მკერვლებს შეეკერთ, თვთან უელის სახლ-კარსა, მოახლებებს ეწევა, გაუყოფს შრომასა, საჭმელს და მურაბას თვთან ხარმავს. ალექსანდრა სრულია, იმისგან არა ვის არა სწყენიარა არც სიტყვით, არც ქცევით ყველას კეთილს უყოფს. აი ნამდვილი რაინდიძე! თეიმურაზ, გოჩუნა, ეკატერინე, თეკლე, გორჯასპი, ვარსკვლავისა, ლიფსიმე არ არიან ალექსანდრა და მარიკო, როგორც მწარე არ არის ტკბილი, როგორც ბნელი არ არის ნათელი. ესენი, ესე იგი, თეიმურაზ, გოჩუნა და სხ. არიან უცუდესზე ცუდნი, კაცობრივი არა აქუსთ რა ამათ; ყოველივე იმათში არის მხეცური, პირუტყური, პილწი, საძაგელი. რასაკვირველია ამ პირთ სურათები ამიტომ დაუხატავს ავტორსა ყოველის სინამდვილით და ჩრდილოებით, რომ არა ვინ არ მიბაძოს ამათ. მაგრამ ავტორი ვერ მისწუდა თავისს საწადელს. მრავალთა რა ვერ დანახეს ალექსანდრას და მარიკოს სურათებში თავიანთი სახე, რომელიც უფრო დაახლოვებით მიემსგავსებოდა თეიმურაზის, გორჯასპის და სხუა პირთ სურათებსა, უკმაყოფილობით გასტყორცნეს „მორჩილი, შორს, არ იამათ ამ მოხრობის გამოჩენა, რადგან მწარე ჭემპრიტების გამომაჟღარებელი შეიქმნა, და რომ დაჰფარონ თავიანთი უკმაყოფილება, ამ თხზულების გარეგანი ფორმა განგებ დაიწუნეს.

ეს არის ჩემი საახალწლო ძღვენი, ამას მოგიკვლეთ, შაქრის მაგიერ, და ვისურვებ ტკბილათ დაბერდეთ, დაბერდით კიდევცა ტკბილათ, თუ აასრულებთ ჩემ რჩევასა: თუ საზოგადო-

ება არ შეგიძლიანთ შეადგინოთ მოსაქმედათ კეთილის საქმი-
სა, თუთო ყმარწვილი მაინცა — ობოლი გინა შეუძლებელი,
ვისიც უზლი უნდაიყოს — ყველამ აიყვანეთ, თქტუნის ხარჯით
გაზარდეთ სასწაელებელში, გაზარდეთ როგორც უზლი, რო-
გორც ძმა; მაშინ ცუდნი მემცირდებიან, კარგები გამრავლდ-
ბიან, ქოტუნს გაიხარებთ, მეც გავიხარებ, მაშინ მე გვარსაც
გამოვიცვლი, მწარადეს მაგიერ ტკილადეს დავირქმევ.

მშვიდობით მეორე ნახტამდე.

საქართველოს ისტორიისათვის მასალები.

(მ. ბროსესი).

16 მარტს 1624 წელსა, მივიდა მოსკოვში თეიმურაზისაგან გაგზავნილი მოციქული, იერუსალიმის წმინდა გოლგოთას მონასტრის არხიეპისკოპოზი თეოდოსია, რომელსაცათანა ჰყვა არქიმანდრიტი არსენი; პირველი ამათგანი იყო სამეგრელოთგან. ერთი წიგნი ჰქონდა გატანებული თეიმურაზისაგან მეფე მიხეილ თეოდორიძთან და მეორე ფილარეტ პატრიარხთან; ორივე წიგნები იყვნენ დაწერილნი ბერძულენაზედ. როდესაც დაუტყვევა საქართველოს საშუღვარი, გაემართა ოსმალის ქალაქის ტრაპიზონისაკენ, აქედგან გემით მოვიდა კაფუაში, სადაცა დახედნენ რუსეთიდგან გამოგზავნილი მოციქულები, ივანე კანდირევი და ტიხონ ბორისოვი, — კაფუის ქალაქიდგან საკუთარ ამათთვის შემზადებული სომალლით, მივიდნენ აზოვში, მერე დონის მდინარით ქალაქს ეორონესსა. ამ მგზავრობაში თან მისდევდნენ რუსეთის მოციქულებიც.

არხიეპისკოპოზმან თეოდოსიმ აცნობა რუსეთის მეფეს მდგომარეობა თეიმურაზისა, — თუ როგორ აეოხრებინა სპარსეთის შახსა საქართველო, ან როგორ განეძია ის საქართველოთგან; — ამ შეიწროებაზე თეიმურაზმა გაგზავნა ოსმალის

სულთან ახმეტთან მოციქული და სთხოვა შემწეობა, რომლისათვის ახმეტმა გამოუგზავნა სამი ფაშა: ნაზიმ, მაჰმადი და ფათილ ოც და ათი ათასის ჯარით. ამ დროს სპარსეთის შახი იმყოფებოდა თაერისში და როდესაცა ჰსცნო ოსმალოს ჯარის მოსვლა, მამინეე მოვიდა ქალაქს არდებელში. იმ დღითგან თეიმურაზ, თერთმეტის წლის განმავლობაში იმყოფებოდა მთარველობასა ქვეშე ახმეტ სულთანისა, რომელმაცა დაუთმო საქართველოს საზღვარზედ მდებარე სამი ქალაქი: ქალტისი, ნარიმანი და ართანუჯი. ყოვლის თავანთ კუთვნილის მიწებითა. როდესაც არხივისკოპოზი თეოდოსია გაგზავნილი იყო მოციქულად, თეიმურაზ იმყოფებოდა ამ ქალაქებში; ამ დროს თეიმურაზის ჯარი, ქართველებისაგან შემდგარი, იყო თორმეტი ათასი, და ამ ჯარის გარდა, რაც ამ ქალაქებში ოსმალები სცხოვრებდნენ, სულ ერთიან მზათ იყვნენ, უკეთუ თეიმურაზ ერთს უბძანებდა. არხივისკოპოზმა თეოდოსიმ დამატა ესეც, როდესაც აძლევდა რუსეთის მეფეს საქართველოზედ ცნობას, რომ ჯერეთ არ დამორჩილებოდა თეიმურაზ სულთანსა. როდესაც სპარსეთის შახი მოვიდა საქათველოში დიდ ძალის ჯარით, აიკლო, მოაოხრა, თეიმურაზ განაძია და ტახტზედ დასვა თეიმურაზის ძმის წული გიორგის შვილი იესე, და შემდგომს დაბრუნდა სპარსეთშიო.

თეიმურაზ მტრისაგან ძალდატანებული იმყოფებოდა სულთანისაგან მიცემულ, სამზღვარზედ მდებარე ხან ერთს, ხან მეორე ქალაქში, და სთხოვდა შემწეობას, ხან ერთის მთის ხალხსა, ხან მეორისას. მთის ხალხმა, ვისაც შეტყივდა გულო, მოუგროვა ჯარი და გამოუგზავნა ათი ათასი კაცი. თეიმურაზმა ეს ჯარი შეუერთა თავის ჯარსა, და გაემართა

იხსე მეფისაჲენ, რომელიცა მოკლეს ამ ომიანობაში და ამასთან ოთხი სულთანნი სპარსეთის შახისა, დარამდენი კიდევ ქართველები, რომელთაცა უღალატეს თეიმურაზსა. ამ სახით, თეიმურაზმა ისევე რა დაიჭირა თავისი სამეფო ტახტი საქართველოში, უბძანა და დაახოცვინა, რაც სპარსელი ვაჰრები იმყოფებოდნენ იმ მდროს საქართველოში და იმათი ქონება სრულგებით თვთან დაი საკუთრა. ამ დროს დელი-მელექი უკუდგა სპარსეთის შახს, მოვიდა თეიმურაზთან, სთხოვა შეგწეობა და პირობა მისცა აეღო ორი სპარსეთის ქალაქი: არამ და ქაბალა. თეიმურაზ დაერწმუნა იმის აღთქმას და მისცა ათი ათასი თოფიარალიანი კაცი; — დელი-მელიქმა აიღო ეს ქალაქები, გადაწვა, მოაოხრა და წამოიყვანა რა რამდენიმე ტყვე სპარსეთითგან, მოვიდა თეიმურაზთან მელეთში, ესე იგი იმერეთში. რა ეს სპარსეთის შახმა შეიტყო, მაშინვე გაგზავნა თავისი ხანი ალიყული-ხან; დიდის ჯარით იმ ბრანებით, რომ დაეჭირა თეიმურაზ ცოცხლათ და მიეყვანა სპარსეთში, მაგრამ თეიმურაზ დაუხვდა წინ დიდის ჯარით დაამარცხა სპარსელები, წაართვა დრომები რაც რამ ჰქონდათ, გაუგზავნა ოსმალოს სულთანს და თან გაატანა ორი ათას ხუთასი სპარსელების თავი. ამის შემდგომს თეიმურაზმა დაითხოვა თავთავის აღაგს ჯარები და თვთან მოვიდა მოსასვენებლათ ქართლში, ქალაქს სურამს. რა გამოვიდა რამდენიმე წამი, სპარსეთის შახი კელმეორედ მოუხდა საქართველოს, და უნდოდა ჩუმათ დასცემოდა, მაგრამ თეიმურაზმა შეიტყო ესა, მეკრიბა კელმეორედ თავისი ჯარი, გამოორდა თავისს სამეფოს და სცხოვრებდა სულთანის სამზღერის ქალაქებში. ახმეტის სიყუდილის შემდგომს, როდესაც ოსმალეთის ტახტზედ ავიდა იმისი

მემკვიდრე ოსმანი, მოისურვა ნახვა თეიმურაზისა; თეიმურაზ მივიდა კოსტატინეპოლში, სადაც მიიღეს ჩინებულად. შემდგომს ოსმანმა დაითხოვა და დათხოვნის დროს აჩუქა მეოთხე ქალაქი ყარა (არღვანი). როდესაც ამას უანბობდა რუსეთის მეფის საქართველოს მოციქული, ბოლოს დამატა, თუმცა ასე არის გარემოება თეიმურაზისაო. მაგრამ ახლა აღარ ელის სულთან ოსმანისაგან შეშწევობასაო, მხოლოდ რუსეთის მეფეს მფარველობას მოელის და ურჩევნია მათელის თავის ქონებით და ქვეყნებით დაემორჩილოს იმის ძლიერებასაო; ამასთანავე სთხოვა დახმარებოდა როგორც ჯარით ისე ფულითა.

რაც რამ ეწერა თეიმურაზისაგან მიწერილს წიგნში, თვითან ისევე უანბო პირათაც მოციქულმა თეოდოსიმ. რუსეთის კემწიფემ წაცვლად პასუხისა, უბძანა თავის სასახლის პირველპირს გრამატინს გადაეცა ყოველი ის, რაც რამ დაებარებინა სპარსეთის შახსა, რუსეთის მოციქულების ვარაზინის და კუმანიკოვისათვის. გრამატინმა ესეც უთხრა, რომ თეიმურაზ არ უნდა რწმუნებოდა ოსმალების სულთანს და უნდა სცოდნოდა თუ რა ღონის-ძიება უნდა მიეღო, რომ გამოეხსნა სპარსეთის კელითგან თავისი დედა და შვილები. რომ კარგათ დაერწმუნებინა საქართველოთგან გამოგზავნილი მოციქული, გრამატინმა უთხრა, რომ, რადგანაც სპარსეთის შახი ახლა დამეგობრებულა რუსეთის კემწიფესთანაო და ამას გარდა რუსეთმა თვითან ბევრი შეიჭირვა ლიტველების დაპოლიაკებისაგანა, ამისათვის ვერ შეუძლიან შეეწიოს თეიმურაზს ვერცა ფულით და ვერცა ჯარითაო.

1635 წელს, თეიმურაზმა რუსეთში კიდევ გაგზავნა

მოციქული ბერძნთაგანი, მიტროპოლიტი მრთელის ივერიისა, ქართლისა და კახეთისა ნიკეფორე. ის მივიდა თერგში ოკტომბრის 23-სა 1635 წელს. ხოლო მოსკოვში როდესაც მივიდა ის მაშინვე წარუდგინეს მეფეს, რომელსაც ამიართო წიგნი, ბერძნულ ენაზედ, 17 სექტემბერს 1635 წელს დაწერილი. ამ წიგნით თეიმურაზს სახოვდა მფარველობასა, რუსეთს აძლევდა მრთელს ივერიას ქვეშევრდომად, მრთელს საქართველოს ეკლესიებს, თავის ძვირფასის საუნჯეებით, საუკუნოთ, მეორედ მოსვლამდინ. ამასთანავე დამატა, რომ ქართლი, სვიმეონ მეფის სიკვდილის შემდგომ, სრულებით შეუერთდა კახეთსა და ეკუთვნის თეიმურაზსა, თერგისა და ქართლს შუამხოლოთ ერთი მთა უძვეს, შვიდი ღლის სწავლია თერგითგან, შუაში არაფის საბძანებელი არ არის და ეკუთვნის მხოლოდ თეიმურაზსა; ამას გარდა ივერიითგან კოსტანტინებოლამდინ სამოცი ღლის სავალია ისე, როგორც სპარსეთამდინ, (?)სადაცა თეიმურაზს კაცები ჰყვანან საიდუმლოთ და აცნობებენ რაც რამ მოხდება შახის სასახლეში საქართველოს შესახებ.

თეიმურაზს არწმუნებდა, რომ თავის მეფობის დროს განმავლობაში ქართველებს ამოეხრცათ ორმოც და შვიდი ათასი სპარსელი. შახს სახოვდა ცოლად თეიმურაზსა ქალს, რომელიცა ჰყვანდა მხოლოდ ერთი, და იმამ-ყული-ხანის ქალს აძლევდა თეიმურაზის შვილს ცოლათა; თეიმურაზმა უარი უთხრა, რადგანაც ქრისტიანის ქალის გათხოვება მაჰმადის სარწმუნოებისაზედ არსად არა თქმულიყო. შახი ამაზე გულს მოვიდა, შეკრიბა დიდი ჯარი და უნდოდა თეიმურაზს გადმოეგდო ტახტითგან; მაგრამ თეიმურაზმა შეიტ-

ყო თუ არა, 'მაკრიბა ჯარი, შეუხდა განჯის ახლო მახლო მდებარე სოფლებს, შერე თვთან განჯაში, სრულებით ააოხრა მიწა, მოსრა და იქამდინ საქმე გაუჭირა, რომ მეტი ღონე აღარა ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა თეიმურაზს დაუღ-ხანი. თეიმურაზ მაინც ამას არ დასჯერდა, სპარსელები რა გააქცია, მიჰყვა თანა, მოსრა ცამეტი ათასი სპარსელი და გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამეფოსაკენ. ამას შემდგომს დაუღ-ხანი ცხრათვის შემდგომს წარუგზავნა სულთანს. თეიმურაზ ძრიელი მეფე შეიქნებოდა და საშიში სპარსელებისა, თუ სამეგრე ღოს მთავარს დადიანს თავისი ქალი არ მიეთხოვებინა სპარსეთის შახის აბასისათვის. როდესაც ეს ორნი დამოყვრდნენ, მისცეს პირობა ერთმანერთს, რომ თეიმურაზს გადმოეგდოთ ტახტი თანა. როდესაც ნახა თეიმურაზმა, რომ ერთის მხრით სპარსეთის შახი აწუხებდა და მეორეს მხრით დადიანი, გაიქცა და დაიძალა მიუღგომელს მთებში. რადგანც აქმტრები ველარას დააკლებდნენ — მოშორდნენ. თეიმურაზ აგრეთვე მოიხსენებდა რუსეთის კემშიფესთან მიწერილ წიგნში, რომ ჰქონდა მონასტერი იერუსალიმს, წმ. გოლგოთის მთაზედ, სადაც იყვნენ თხუთმეტი ქართველი ბერი, ოსმალთაგან დასაცველად, რადგანც ხშირად აწუხებდნენ ხოლმე. თეიმურაზ ჩიოდა აგრეთვე ლეკებზედ, რომელნიც იყვნენ მოუსვენებელი მეზობლები და ყოველთვის ეძიებდნენ შემთხვევას, ივერიის გასაფუჭებლად. ლეკები იყვნენ აღრე საქართველოს მონებასა ქვეშე, იმათი დიდი კაცის-მკვლელები ყოველთვის ამანათათა ჰყვანდათ და როდესაც სპარსელებმა საქართველო მოაოხრეს, მას აქეთ ლეკებიც უკუდგნენ. ამ მიზეზით სთხოვდა მეფე რომ გამოეგზავნა რუ-

სეთითგან ძრეელი ჯარი ქართველ ჯარების შესაწევწევლად, რომ დაეჭირათ დაღასტანი და იქაური მცხოვრებნი გადაეცაით ქრისტიანებად. ამას გარდა ქვეშევრდომთა ჰყენან მთის ხალხნი, რომელთაცა ეწოდებათ ქისტები და ოსები, რომელნიცა იყენენ ადრე ქრისტიანება და ახლა არც ოსმალის სარწმუნოება უჭირავთ, არც სპარსელებისა და არც ქრისტიანებისა — მტრებს ისე შეუცვლიათ და აურევიათ იმათი გონება. ეს ხალხი იქნება, რიცხვით ოთხმოცი ათასი.

თეიმურაზ სთხოვდა, ამ მთის ხალხისათვის ძალა დაეცაინებინათ, მიედოთ ქრისტიანებაი სარწმუნოება, როგორც იმათი მამაბაბანი იყენენ.

თეიმურაზ სთხოვდა, დაებრუნებინა ქართველები, რომელნიცა მაშინ რუსეთში იყენენ, ამას გარდა მოციქული ნიკიფორე დაუყონებლავ და გამოეტანებან რუსეთის მოციქულებიც, ამისათვის რომ ერცლად აღეწერათ ივერიის მდებარეობა და მიეცათ შემდგომს რუსეთის მეფისათვის ანგარაში.

თეიმურაზმა ესეც დამატა, რომ იმისი აზრი იყო, მიერთმეინა რუსეთის კემწიფისათვის მდიდარი საჩუქრები, სხუთთა შორის კარგე ცხენებიც, რომლის მზგავსი თვთან სპარსეთის მახსაც არა ჰყენდა, მაგრამ ვერ გაბედა რადგანც ემინოდა გზაზედ ან ლეეებს, ან ჩერქეზებს და ნოღაიებს არ წაერთმეიათ, რომლის მიხვებით წიგნიც მიწერა ბერძნულ ენაზედ, და არა ქართულად.

25 აპრილს 1637 წელს, მიტროპოლიტი ნიკიფორე, თეიმურაზისაგან გაგზავნილი, გამოეთხოვა რუსეთის კემწიფეს და იმავე დროს თან გამოატანა მეფემ მოციქულათ

თავადი ფეოდორე ფეოდორიჩი ვოლკონსკი, არტემი ხვატოვი და მთარგმნელი ივანე ბოიარშჩინოვი, აგრეთვე ლეონტი ნიკიტინი და თედორე პოლიშკოვი; ორი მწერალი ივანე ფეოდოროვი და ლევ ვასილევი; ორიც მონადირე თედორე ტობოლინი და ივანე კოპოლოვი.

ამას გარდა, მეფემ გამოგზავნა ივერიაში, ამავე ამაღაში, ბერი იოსებ, მყოფი აღრე იპატის არქიმანდრიტად; კოსტრომის მონასტრის ორი ღვდელი: ალექსი და გრიგოლ, ერთიც დიაკვანი არსენი. ეს მოციქულობა გამოვიდა მოსკოვიდგან 9 ივნისს.

წიგნში თეიმურაზთან მოწერილში, რომელიცა მოსკო მეფემ, თავადს თეოდორე ვოლკონსკის, ეწერა რომ რუსეთის ხელმწიფე, ყოველად უმოწყალებსად მიიღებდა თავის საფარველს ქვემე, ივერიის მეფეს თეიმურაზს, აღუთქვამდა დაეცვა მტრისაგას. ხოლო თავადს თეოდორე ვოლკონსკის და არტემ ხვატოვსაგზავნის იმ აზრით, რომ მოვლავარაკენ თეიმურაზს, თუ რა პირობებით უნდა მიიღოს ივერია, რუსეთის ქვემევედომელობა. ამ მოციქულებს აგრეთვე ჰქონდა ბრძანება. გაეჩხრიკათ კარგათ ივერია. რაც შეეხებოდა ეკლესიებს და ან წმ. ნაწილებს, სასულიერო წოდების მხრივ გამოგზავნილ მოციქულებს. ჰქონდათ მინდბილობა შეემოწმებინათ ყველა და ეცნობებინათ რუსეთის კემწიფისათვის ისე, როგორც დარაგება მიეცა რუსეთის პატრიარხს იოსებს, ან რაც პატრიარხს მოეწერა თეიმურაზისათვის. ამას გარდა, საქართველოს მიტროპოლიტის ნიკიფორეს შუადკომელობით გზავნიდა საქართველოში რამდენსამე ხატებს, გზავნიდა მხატვრებს სამხნატრო წამლებით, ოქროთი და ვერცხლით, ხატების

მოსაჭედათ; გზანიდა მემინავეს, რომ სადაც ფანჯრები დამტვრეულიყო, ის ცკლესიები გაეკეთებინათ, გაემშენიერებინათ. ამას გარდა უნდა აღეწერათ საქართველო, სად რა ქალაქი იყო, სად რა მეფენი მეფობდნენ, ან რამდენი ეკლესიები იყო; უნდა ცნობაში მოეყენათ როდის იყო აღმშენებული შვეთა (ცხეთა), და გარემოება უფლის კვართისა, რა წმინდათა ნაწიელები იყო საქართველოში. — რომელი ნაწილები იყო მატაკებული მახისაგან და სხ. ნაბრძანები იყო აგრეთვე, დაწერილებით შეეტყუათ ქართველების სარწმუნოების ხასიეთები, წესები დაჩეკონებინათ, რომ საბერძნეთის სარწმუნოებაზედ მღვარეიენენ მტკიცედ. —

ბუნების მეცნიერებითგან.

როგორც აპრილის ცისკრის ნომერში მოვილაპარაკეთ ჩუქნს მკითხველებთან, გამოცდილებით ცხადათა სჩანს, რომ ჩუქნს ჰაერში არის ორი რამ განსხვავებული გაზი; ერთი მგზნებარებასა შველის და დავმატოთ, ჩუქნს სუტქ-ვასაცა და მეორე მგზნებარებას აქრობს და დავმატოთ, ცხოველსაც სიცოცხლეს ართმევს. სწავლამ აჩვენა კაცსა. თუ როგორ უნდა მიიღოს და მოიხმაროს ეს ორივე გაზი ცალცალკე და გაწმენდილად. რომელიცა ცეცხლის ნთებასა ან მგზნებარებასა შველის, იმას დაარქვა კაცმა, როგორც, თუ ახსოვთ მკითხველებს ადრეც გვითქვამს, — მჟავგვარედი; რომელიც სიცოცხლეს აქრობს, იმას აზოტი. ეს ნექსი არის იმის სახელად მადებული ყოველს ევროპიულს ენაზედ; ჰაერის ხუთს ზომამზედ (ესთჳათ რაც ხუთს ერთმანერთის ტოლს სტაქანში დავტევა) მჟავგვარედი არის ერთი ზომა, ან ცოტა რომ ერთზედ მეტი, და აზოტი არის ოთხი ზომა ან ცოტა რამ ნაკლები.

ჩუქნს წამკითხველებს მოვანსენებთ შემდგომს გამოცდილებასაცა:

ნ, აფთიაქის მინა წყლით აავსეთ; ჩააწყეთ, შიგ რამდენიმე ახალი მწვანე ფოთოლი ნაორძისა ან მცენარისა რისამე და მინა ისე დააყენეთ რომ ძარი ზევითა ჰქონდეს მოქცეული და მოხსნილი პირი კვემთ წყალში, თუნდათეფ შხედ იყოს ეს წყალი დასხმული და მერე მხეხედ გადგით ასე, რომ ექვსიოდ საათს მზის შუქი

პირდაპირ მწვანე ფოთლებს დაჰყურებდეს. ადვილათ შეე-
ტყობოთ, რომ მინაში წყალი ცოტ-ცოტათ ქვევით დაიწვეს
და იმის მაგიერად გაჩნდება, წყალსადამინის ძირს შუა, რაღაც
რამ უფერული ნივთიერება, ჰაერის მზგავსი. მინაშლისინ
წყალშივე დგას მინა, პირს თითი დაუცოთ და ისე გაღ-
მოაბრუნოთ, რომ ახლა პირი ზეითა ჰქონდეს, მერე სპი-
ჩკას რომ ცეცხლი მოუკიდოთ და რომ აენტება გაეა-
ქროთ ასე, რომ ბოლო ისევე წითლათა ჰქონდეს, ეს ცე-
ცხლიანი ბოლო თუ ამ მინაში ჩაყავით, სპიჩკა იმავე წამს
აენტება და როგორც უიმისოთ ეკიდება ხოლმე ცეცხლი
ახლა უფრო მეტად მოიკიდება. ახლა ეკითხოთ. რა გამო-
დის ამ გამოცდილებითგანა? აი რა. მწვანე ფოთელს პირ
და პირ მზე რომ დაჰყურებდა, მზეს იქიდან გაზი გამოჰქონ-
და, ცეცხლს რომ აძლიერებს ის გაზი, მამ ეს გაზი მჟა-
ვგვარედისა ყოფილა. თუ ათიოდე ფოთლიდამ იმდენი გა-
ზი გამოვა, რომ ჩუბნგან შესამცნევი იყოს, მამ ამ მილლი-
ონებიდამ რამდენიდა უნდა გამოვიდეს ჩუბნი მიწდვრები და
ტყეები რომ მოცულნი არიან მწვანე ფოთლებითა?

თქუბნც ხომ მოგაგონდებათ, რომ როდესაც მზე ბრწყინ-
ნუალებს, მამინ ტყეში უფრო გვეადვალება ქმენა, ვირემ
უმწვანო ადგილსა, გინდ ჩრთილოშიაც ვიყოთ. უმჟავგვა-
რედლოთ კაცი ერთს თუალს დახამზამებაზედ დაირჩობა,

უმოზუნო არ არის, მრთელს ევროპაში რომ ისეთი სა-
ხელი დაურქმევიათ ამ გაზიხსთუს, რომელიც მამინმე გვამ-
ხილებს, რომ ეს ისეთი ნივთიერება არის, რომელიც მჟავე
გემოს გამოსცემსო.

ა, შევასველოთ შიგნიდამ სტაქანი და ცოტა რამ წყალი

ჩავასხათ; მერე ნატეხრით ერთი ბეწო გოგირდი ჩავდგათ და ავანთოთ. თოგირდი იწვის და აღს თან ასდის რაღაც სქელი, თეთრი მყარლი ოშხივარი, აღი რომ ჩაქრება. სტაქანს ქალაღლი დავაფაროთ და რამდენსამე წამს ისე გაუშვათ, ოშხივარიც შიგეე ჩაქრება. აბა წყალი ენახოთ ახლა სტაქანში რომ არის და გემო ეიხილოთ, უწინ რომ გემო არა ჰქონდარა, ახლა სიმჟაეე მისცემია: მაშ ეტყობა, გოგირდი რომ ჰაერზედ იწოდა, ჰაერში მჟაეედი იპოეება, აქედან გაჩენილა სიმჟაეე და წყალში გაჩენილა. კაცი რომ მოარხერხებდეს და ამ ნაირად ნაშოენს სიმჟაეესა რამდენსამე მჟაეეგარედს კიდეე მიუმატებდეს, გამოვიდოდა ძალიან საჭირო ბუნების მოწყობილებისათჳსაც და საზოგადო ეელოენებისა და მომჭინეულებისათჳსაც, სხტა ახალი სიმჟაეე, რომელსაცა ჰქეა, სიმჟაეე გოგირდეული. ჰსწავლოთ ეიცით გაკეთება ამ გოგირდეულის სიმჟაეისა და ეს სიმჟაეე არის, რომ სხტათა ნაწილთა შორის იპოეება ჩტსნს გაჯში, არჯასწში, ან მწვანესა და ლურჯს შაბიამანში, სხტა და სხტა ნაირს ხაშურში, ქალაქს გარმემო პატარა ტებში რომ არის და ამ თოელოეით თეთრს მტეერში, მრავალს აქაურს მიწდერებსა და გვალვაში ქშეებს რომ დეფინება ხოლმე.

ბ. ჩტსნ რომ ახლა ცეცხლის გასაჩენს სპიჩებსა ენმარობთ ეინ არ იცის, რომ ამ სპიჩების შესაზაეებლად იხმარება ერთი ნიეთიერება, რომელსაც ეწოდება ფოსფორი. ბნელში რომ სპიჩა კედელს დაუსვათ, ნათელი ხაზი დარჩება და რაღაც უსიამოვნო სუნი აეღინება; ეს იმასა ნიშნავს, რომ ფოსფორი იწვის. აბა ავიღოთ რამდენიმე სპიჩ-

კა, ფერადი თაეები მოვამტერიოთ, სტაქანში ჩავაწყობ, როგორც წილან გოგირდი ჩადეთ — ისე, და ავანთოთ. სტაქანი აივსება ზრქელის თეთრის ოშხივარითა, ეს ოშხივარი წყალში გაიხსნება, გაქრება და წყალს გამავევს, თუ სპიჩა საკმაოდ ჩავეართ. მამ ეტყობა, როდესაც ფოსფორი იწვის ჰაერზედ, და ჰაერს ხომ მჭავევარედი აქტს, მაშინ გამოდის ერთი კიდეე სხუა რაღაც სიმჟავე, რომელსაც ეწოდება ფოსფორზედ. — საჭირო არის ბუნებაში სიმჟავე, თუ არა, აქედან დაეინახეთ, რომ ეს სიმჟავე არის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი, რომელიც, იზოვება ადამიანისა და სხუა მრავლის ძელებში. ევროპიელებს რომ ხტნა და თესვა მიაჩნიათ უმეტეს ძლეერებად და ქტუყნის სამღიდრედ, მრავალს ფულსა ხარჯვენ ძტლები ეყიდოთ და მიწა იმითი ეპანტიოთო, ამას ძელის ფქვილს ეძახიან, და თუ ძტალი საკმაოდ ვერ იზოვენეს, მაშინ ან შინვე, ან სხუა ქვეყნებში სადმე ისეთს რასმეს ნიეთიერებას მოსძებნიან, რომ ფოსფორული სიმჟავე ჰქონდეს, და ხარჯს არა ზოგვენ, ოღონდვი ეს გამოსადეგი ნიეთი შინ შეეიტანოთ და ჩტუნს ნაფუზრებს მოეახმაროთო.

გ, ვიცით რომ ნახშირი ღვივდება ჰაერზედ; აქედან წარმოსდგება უფერული რაღაც და თვალით უხილავი გაზი, მჭავევარედის გაზში მწუთანე ფოთლებითგან რომ გამოვიდეთ, ნახშირი ანთია თუ მახსოვთ ნათელის ალითა. აქედან რომ გაზი გამოდის, წყალში იხსნება ეს გაზი და სასიამოვნო სიმჟავის გემოს აძლევს, კაცს მეუძლიან ეს გაზი ესე შეაიწროვოს, ისე შეიმუხრუქოს, რომ წვეთულად აქციოს და რა რომ შემაიწროებელი ძალა გამოეცლება, წვეთეული

მწრაფლად განქარებვას დაიწყებს და შეიძლება დანარჩენი წვეთიულებაც გაჰყაროს კიდევ. ამ ვახსა ჰქვიან ნახშირის სიჭ ე.ეს ის არის მამპანსის რომ ააქაფებს ხოლმე, ლუღსა, პორტ რსა, სოდასა და სხუა...ეს ის არის სასიმოვნო სიმ-
ქვის გემოს რომ აძლევს ზოგიერთს აქაურს მჟავე წყლე-
ბსა: ქაშტრას წყალსა, ურაველისას, ბაიანდურისას, გლო-
ლისას, კობისას, ნარძანისას და სხუა. ეს სიმჟავე წარმოდ-
გება შეშის წვამი ლობაში, მაქრის დულღში და სხუა
აგრეთვე ჩუშნს ამოსუნთქვაში. რაკი ნახშირის სიმჟავე ამდენს
სხუა და სხუა გეარს მრავალს შემთხვევაში წარმოსდგება,
მამ სიმართლე გვექნება ესთქუათ, რომ ბუნების მოწყობი-
ლობაში, დიდი საჭირო ყოფილა. ჰსწავლამ შეგვამცნეინა
რომ მარმარილოს ქუა თეთრი მიწა და სხუა ყოველნაი-
რი ქუა, რომლისაგანაც კირი დაიწვის, ყოველგან და ყო-
ველთვს ნახშირის სიმჟავეს იპრობენ. მელისა ან თეთრის
მიწის ნაჭერზედ რომ ცხარე ძმარი აქაფდება და შიშინს
დაიწყებს ხოლმე, ეს იმის მიზეზია, რომ ძმარს გამოაქუტს
ნახშირის სიმჟავე პაწაწ-პაწაწინა ბურთებათა ან ქუათა.

სტაქანში რომ ცოტაოდენი, პატარპატარა მელის ნაჭერი
ჩააწყობთ და იმდენი ცხარე ძმარი დაასხათ, რომ დაჰფაროს
და რამდენსამე ხანს უკან რაკი ქანთლისა და ბერცების დენა
დასცხრება, სიფრთხილით რომ მაშინ ანთებული სამთელი ჩაუშ-
ვით, ირავ წუთს გაქრება. ამ გამოცდილებისაგან სჩანს, რომ
ძმრის ძლიერებითგან მელითგან გამოყენილმო ნახშირის სი-
მჟავემ ჰაერი რაც იყო სულ ამოსდენნა სტაქანიდამა და იმი-
სი ადგილი თვთან დაიპყრა; მეორეც ესა, რომ ნახშირის
სიმჟავე ნთებას აბრკოლებს, მამასადამე ჩუშნ ქშენასაც. სა-

დაც ეს გაზი ბეერი შეერბება, იქ კაცისა და პირუტყვიც ანაზღეულად ირჩობიან.

თუ ის სტაქანი საუმაოდ მაღალი არის. რომელშიაც ძმარ გადასხმული მელი გვეგულება, ერთი სხუა პატარა სტაქანი მოვიტანოთ კიდევა მიგ ამ პატარა სტაქანს ძირზედ წვრილი პატარა სანთელი დაეკრათ და აენათოთ: მერე ავიღოთ ის მაღალი სტაქანი და ისე დავიჭიროთ, თითქო, იქიდან პატარში სიბრთხილით გადავასხამდეთ რასმე. სანთელი პატარაში მაშინვე გაქრება; აქედამა სჩანს რომ მაღალი სტაქანიდამა სწორეთ გადმოვასხით ნახშირის სიმჟავე; მაშ ეს ნახშირის სიმჟავე ჰაერზედ უფრო მძიმე ყოფილა.

თუ რომ ეს ნახშირის სიმჟავე მომაკუთღინებელი არის კაცისა და პირუტყვისა, მაშ რიღისათჳს არის ბუნებაში ასე მრავალი? ბალახს და ხეებს რომ ლაპარაკი შესძლებიყოთ, ისინი მოგვიგებდნენ ამისს პასუხსა და გვეტყოდნენ: „ბუნებაში რომ ნახშირის სიმჟავე არა ყოფილიყო, ჩუპნ ვერკ აღმოცენდებოდით და ვერ ვიზრდებოდითო; მზე რომ მოგვადგება, იმის შემწეობით ჩუპნა ვხსნით სიმჟავეისა, ნახშირი ჩუპნთჳს ამოგვაქუს და სიმჟავეს თქუპნ გაძლევთო; ეს არის მიზეზი, რომ სადაც ჩუპნ დავეფინებით ქვეყნის პირზედა, სადაც ჩუპნ ვიშლებით და ვმწვანეობთ, იქ თქუპნ უფრო ადვილად და თავისუფლად ჰქუენითო, სულოს უფრო ადვილად და უფრო სიამოვნებით იბრუნებთო, ვინემ თქუპნს ქალაქებში, სადაც აგრეთის განუსჯელობით, კაფათ და აღხრებთ ბაღებსაო; რაც თქუპნთჳს მომაკუთღინებლია, ის ყუპნ მიგვაქუს, ჩვენ ვაკეთებთ, ჩუპნთჳსა ვხმარობთ და

რაც გადარჩება, თქუტსნის სიცოცხლისათვის აუცილებლად საჭირო არის, იმას თუტსნ გაძლევთო.

შოდით და ახლა ნუ განიკვირვებთ ყოვლის შემოქმედის სიბრძნესა!

დ, ამ სამ ნივთიერებას გარდა, გოგირდად, ფოსფორად და ნახშირად რომ დავასახელოთ, კიდევ არის სხუა მრავალი ნივთიერება, რომელიც მჟავებგარედთან შეერთებული სხუა და სხუა სიმჟავეებს წარმოგვიდგენენ. იმათგან უნამეტნავესად სასარგებლო ბუნებაში დაკაცობრივად მომჭირნებაში, არის ერთი სიმჟავე ტალეზარი, ან კაჟეული. ტალი და კაჟი, ხომ მოგეხსენებათ, ქუა არის ძალიან მაგარი, ხშირად ბროლის მზგავსი, რომელიც ჩუტსნ მთებში ბევრგან იპოვება. ვინც სტეფან წმინდას ყოფილა, სადაც ყაზიბეგის სტანცია არის უეჭველია ენახება რომ იქაურს ბიჭებს გასაყიდათ დააქუთსთ ხოლმე სწორეთ ბროლის მზგავსი ლამაზი ქეები ამ გვარობისა. მდინარეში და მდინარეს ნაპირებზედა თეთრი და მოყვითლო სილა არის ხოლმე დალგეილი, ეს სილა. სწორეთ ის სიმჟავე არის კაჟეული. კასპიის ზღვის პირას, აფშარვანის ნახევარ კუნძულზედ არის მკტად მრავალი ეს სილა ქურაში რაც უნდა ძლიერ ცვეცხლი იყოს, ეს სიმჟავე თაგის თაგად მაინც არ დადნება და თუ ერთერთი იმ ნივთიერებათაგანი ჩაუმატეთ რამე, კაცს რომ შეუძლიან ათას ნაირის მდგლოს ნაცრისაგან გამოიღოს, მაშინკი დადნება ძლიერ ცვეცხლში და გამოვა მინა, ბროლი და სხუა. ძვირათ იქნება ქვეყანაზედ ისეთი მთის გვარობა, ისეთი ზურგი მთებისა, რომ კაჟი მრავლად არ იპოვებოდეს, -სჩანს ბუნების ოჯახობაში კაჟეულს სიმჟავესაც დიდი მნიშვნეულება ჰქონია რამე.

ე, უჭაროდ, ან ბეჯითათ ვსთქუათ, უმჯავგვარედოდ, ჰერში რომ იბოვება, არ შეიძლება ღვინო დამმარდეს; კარგათ დაცმულს და კარგათ გადაფისულს ბოთლებში შეიძლება წახდეს და დამმარებით კი, არაოდეს არ დამმარდება.

ყოველს სიმჯავეს, წყალში გასახსნადსა, მჯავე გემოს გარდა, ეს თვსება აქუს კიდევ, რომ თუ ინგლისის შაკრის ლურჯი ქალღი გახსნილს სიმჯავეში დასველეთ, მაშინვე გაწითლდება.

მაგრამ ისეთი სიმჯავეებიც კი არის, რომელშიაც მჯავგვარედი სულ არ იბოვება: ერთი იმათგანი საზოგადო მომკიენოებში ძალაან გამოხსაყენებელი სიმჯავე ის არის, რომელიც შეიძლება შინაურის მარილიდამ გამოვიღოთ, აფთიაქში რომ გოგირდიული სიმჯავე ისყადება, ის თუ მარილს დავასხით და გავათბეთ, გამოვა სიმჯავე მარილოვნად წოდებული. იმის შემადგენელი ნაწილთაგანი ზოგი მარილში არის და ზოგი იმ გოგირდიულის სიმჯავის წყალში. მარილს რომ ვასხამთ, ზემოთ რომ გამოცდოლებავხედ ვსაუბრობდით და მცხარე ძმარს ვახსენებდით, ამ ძმარს მაგიერად უმჯობესია ეს მარილოვანი სიმჯავე იხმარებოდეს, რადგან უფრო იფუათაც და უფრო ადვილათაც იბოვება ყოველს აფთიაქში.

ბოლნიცის (საავთმყოფოს) სცენები.

(ნათ.)

1.

შესავალი ოთახი.

ერთს ღღეს დილით მეცხრე საათზედ, საავთმყოფოს შესავალს ოთახში იყრიბებოდნენ ავთმყოფები, ჰეკიმთან რჩევის საკითხავათ თავიანთ სწეულების შესახებ და ჩუმათ, ხმა ამოუღებლივ სხდებოდნენ სკამებზედ, კედლის ძირში. ზოგი ავთმყოფი თავის ფეხით შემოდრიოდა, ზოგი ხელდაჭერილი შემოჰყავდათ. შეეცარნი, ატსტავკაში გამოსული უნტერ-ოფიცარი სერთუკის საყელოზედ გალუნებ მოკრებული იდგაკარებთან და მალალის ხმით უყვიროდა შემოსულ ავთმყოფებს, თუ სხუათა:

— მოდი გაიარე, გაიარე! გაგონილა, ისე იცხებიან, რომ ერთი ნამცეცა გასაფურთხებელი ალაგიც კი აღარ არის. ეი, შენ ბებერო, დიკარგე აქედან!

— შენ გეთაყვანე, ძმობილო, ჩები ქალი წევს მანდ ავთმყოფი, და ერთი მაჩვენე ღუთის გულისათვს.

— გეუბნებიან, დაიკარგე მეთქი!

შევიცარმა დაუჭირა აქ ხელი, გაიყვანა გარეთ ეზოში, რაღაც წასჩურჩულა, ბებერმა დედაკაცმაც რაღაც ჩაუღო ხელში, მერე მემობრუნდნენ ოთახშივე და უთხრა დაბალის ხმით:

— ჰა, წყნარა აღი!

— მე, შენი ჭირიმე... წყნარა ავალ ღმერთს გეფიცები... ერთ შინუტს... წამოილოლლულა სისწრაფით მოხუცმა დედაკაცმა და აიცუხცუხა ზემოთკენ.

ავათ მყოფებს მაინც ცოტ-ცოტათი ემატებოდნენ ქვემოთ შესავალს ოთახში. ზოგნი ერთნი გაივლ-გამოილივდნენ, ბოლთასა კრამდენ, კელით ეჭირათ მტკივანი ალაგი და შეწუხებით უყურებდნენ სხვებსა. აქა იქ ლაპარაკობდნენ, ზოგნი თავის ავათმყოფობაზედ, ან ზოგნი შინაურ საქმეებზედ.

— შენი ქალი რაზედ ავათმყოფობს? ჰკითხავდა ერთი დედაკაცი მეორეს.

— ღმერთმა იცის, რაზედ. ასე მეუბნებიან, ვითომცს თვალი სცემიაო. ერთს უბრალო საქმეზედ, გული გადაუბრუნდება, დაბარბაცდება დაბარბაცდება და იქცევა.

— ჰო, ჰო, ეგ მე ვიცი. ეგ რა ჰაქიმის საქმია! ბევრი გაეგებათ მაგგვარებისა ჰქემებს! ექიმები მაგას ვერ უშველიან. აი, ახლა მე გეტყვი შენ, ჩემის სნეულებისას, დილით უწამოზედ, ერთი ლუკმა პური რომ ჩავიდო დასანაყრელად, ყელში არ ჩადის, და თუ როგორმე მოვახერხე ჩაყლაბა, დამადგება ყელზედ,-- აჰა, კუჭში აღარ მიდის, მინამ სეველს არას დაეყოლებ ზემოდან. ერთი ესა მშველის ხოლმე.

— მეც ერთმა რუსის ლეკრმა მიჩივია, ეუბნებოდა ერ-

თი ვილაცა ხელოსანი ავათმოყფი, თავისთან ახლოს მდგომს,-- იყიდე პირველი ნახადი ჭაჭის ოტკაო, ჩაყარე შიგ მაგარი თამბაქოფო, რომ კარგა გაუჭდესო, აიღე და დალიეო. ისე-ცა ექენ სულ დაფლიე!

— მერე!

— მერე და, დალიეა იყო და, თვალეზი ისე ამიჭრელ-და, მერე დამიზნელდა, რომ ქეყენიერების სინათლეს ველარა ვხვდაფდი. ისე გამშოლტა, ისე გამშოლტა,-- ვთქვი ეს ეს არს, სული ამომძვრა მეთქი. სამი დღე უგონოთ ვიდევი.

— არა, ანზობენ, სკაპიდარი იმ დროს ძალიან შევლი-სო. შეც გამოცდილი კაცებისგან გამიგონია. არ ვიცი მარ-თალია, თუ არა.

— ეგ მეც გავიგე. იმ დღეს ერთი კაცი ლაპარაკობდა, შენ რა გგონია, იმისთანა გამოცდილმა კაცებმა უფრო გე-ფრი იციან ჰექიზზედ,-- ექიმი წამალს მოგცემს, ის არ და-გიდევს მოცდეზი, თუ დარჩები.

--- ეგ ხომ იმათათჳს არაფერია.

ამ დროს კორრიდორში გამოიარა ფერშ-ღმა, რომელსაც ყურის ძარში კალამი გარკობილი ჰქონდა, ხელში რაპორ-ტი ეჭირა და ვაღო მეორე ოთახის კარები. იმას უყან მიჰყვა საავთ მოყფოს სახლის ზედა ზედამხედავი ბებერი დედაკაცი, ხელში პირსახოცი ეჭირა. ეს დედაკაცი დაღა მეორეს ოთახის კარებთან.

— ჩქარა მიგვალენ თუ არა? ჰკითხამდნენ იმ დედაკაცს ავათმოყფები, რომელნიცა მიაწყდნენ კარებს.

— მაშინ, როდესაც მოვა ჰექიმი,-- უპასუხა დედაკაცმა ამ-პარტანულის ხმით და გაისწორა თავზედ ჩეფჩიკი.

— როდის მოვა ჰექიმი?

— როდესაც მოვა, მაშინ თვთან თქუტუნუ დაინახავთ.

მოვიდა საავთმეოფოს მოსამსახურე სტოროჟი და ისიც შესავალ კარებთან დადგა.

— უნტრაფიცერ! უნტრაფიცერ! მიადგა ამას ერთადედაკაცი, მვედრებს აქა სწლამენ ხოლმე?

— სწორეთ აქა.

--- ოხ! დიდება შენთვის ღმერთო! დედაკაცმა სთქვა განკვირებით და პირს ჯვარი გადაიწერა.

--- ბანკაში რომ გველები აწყევია, ისიც აქ არის?

--- სწორეთ, ისიც აქ არის. დაიკარგენით აქედან! რასაწყდებით აგრე კარებს?

--- ახლავე ჩემო მტრედო. მარტო ერთი სიტყვა კიდევ უნდა გკითხო. მართლა თქუტუნს ბოლნიცაში ავთმეოფებს კაცის ქონის ჰაბებს აყლაწებენ?

--- დაიკარგეთ მეთქი აქედან! კარებს ნუ აწყდებით. ჰექიმი მობძანდება. დაიკარგენით აქედან!

კორრიდორის თავში გამოჩნდა ჰექიმი, რომელსაცა ფრაკი ეცო. ის მოდიოდა ძრიელ მალე, მიწაზედ იყურებოდა და ცალი ხელი ჯიბეში ედო. ავთმეოფები უცებ გაჩუმდნენ, გზა დაუგდეს, მოკრძალებით შეჰყურებდნენ ჰექიმსა და შეუშვეს მეორეს ოთახში, რომლის კარები, შევიდა თუ არა, მოხურეს.

იმ ოთახში სტოლოთან იჯდა ფერშალი და კალამსა სკრიდა. წინ ედო დავთარი ავთმეოფების ჩასაწერი. ოთახის შუაში იდგა ორი დიდი კრესლა, შირმის უკან იდგა კუთ-

ხეში კრაოტი. ჰეკიმი შევიდა თუ არა ოთახში, დაჟდა ერთს კრესლაზედ.

---რაო, სუძმონ ივანიჩი არ აბძანებულან ჯერ? ჰკითხა ჰეკიმმა ფერშალს.

---არა, ჯერ არ აბძანებულან.

ჰეკიმი გაიხშორა კრესლაზედ, მერე ცოტა განუშვებს შეზღვრამს ჰკითხა კიდევ.

---აეთმყოფები ბევრნი არიან?

— ჩეიდმეტი სული გახლავთ.

— ჰმ: ხუმრობაა. როდის აიღებენ ამდენ ტანტალისაგან ხელსა? ეი, სტოროჟი! კუზნეცოვი! ეინა ხართ შანდა?

— რას მიბძანებთ, თქუწნო კეთილშობალებავ?

— შემოუშვი, მაგრამ თითო თითოთ!

სტოროჟი და ზედა მხედავი დედაკაცი დადგნენ გარეთგან კარებს აქეთ იქით. აეთმყოფები ჯგუფათ აწვებოდნენ კარებს, ყველას ის უნდოდა პირველათ თითონ შესულიყო. სტოროჟი ყვიროდა. • წყნარა! ნუ მაწვებით საით მიიწევ შე ემმაკის ჯინშო! • ფელშარს და ჰეკიმს ეს ხმაურობა შიგნით ესმოდათ.

---რა ანბავია მანდ? გაჯაერებით დაიყვირა ჰეკიმმა და მიახლოვდა კარებს.

ამ დროს კარები დიდის გაჭირვებით და ძალდატანებით გაიღო, გამოჩნდნენ აეთ მყოფების შეშინებული პირის-სახეები. ყველაზედ წინ მოიწვედა ჩინოვნიკი, რომელსაც ცალი გვერდი კი რისყოფით დაედწია ხალხისგან, და ცალი გვერდი ისევე ჯგუფაში ჰქონდა შეიწროებული. ის სასო წარკვეთილებით იქნევდა ცალხელს, გაწითლებული,

დაქანცული და გაოფლიანებული, საქმე რომ გაჭირდა, სტოროჟმა მუხლის თავები მიაყდრო შიგ მუცელში ერთს ავთომყოფს, ამით როგორც იყო დაწვეინა ხალხს უკან და შემოაუშვა ჩინოენიკი.

---რაო, რა ანბაეია? გაგიჟდით თუ? შეყვირა ჩინოენიკს ჰეკიშმა.

---შე არ გახლავართ ხომ... მომიტყვეთ... მაწებოდნენ... თავსამართლულობდა ჩინოენიკი, და თანა ქაქანებდა დაღალულობისაგან,

ჰეკიშმა შეიკრა შუბლი და ჰკითხა:

---ჰო, რაო? რა ანბაეია? მაჩვენე, რა გეცია?

---გვერდი, თქუპნი ჰირიშე.

---დიდი ხანია?

---დიდი ხანი გახლავთ.

---როგორ დიდი ხანი? აბა, ტანთ გაიხადე!

ჩინოენიკმა დაიწყო ტანთ ხდა. გაყვითლებული და გალურჯებუდი სახე იმისი, გაწითლებული ამ ერთის წამის წინათ ხალხის მოწოლისა და დაღალულებისაგან, უფრო გაუყვითლდა.

---მიბჰანებთ, ჟილეტკიც გაეიხადო? ჰკითხა იმან.

---სულ გაიხადეთ.

---ფუფაიკა?

---გეუბნებიან, სულა,--რა ენაზედ უნდა გელაპარაკნენ.

მინამ ჩინენიკი ტამთ გაიხდიდა, ჰეკიში ბოლთასა ჰკრამდა ოთახში, ილრიჯებოდა სახით, თითქოს რალაზედაც წყრებაო და ბუტბუტებდა.

---ჩქარა გაიხდი თუ არა? გარეთ თექესმეტი სული

სხვა მელის.

---ახლავე, თქუპნი ქირიმეთ, ახლავე. ეუბნებოდა ჩინო-
ენიკი, რა გაიხადა ფუფაიკაცა და ამ გახდაზედ რა გამო-
აუჩნდა, გაყვითლებული ტანი, რომელსაც აჩნდა კოტოშების
და წურბლების მოყიდებული ნიშნები.

როდესაც სულ გაიხადა, დაიწყო მასხარობა.

---ღწექით კრაოტზედ! რასა გეშინიათ? აბა! სადა გტყი-
ვა? ამოისუნთქეთ? მიჩვენეთ შაჯა! გახველებს? დიდიხინია? ჰკითხა-
ვდა ჰეკიმი ისე სწრაფათ, რომ ჩინოენიკი ძლივს ასწრობდა ჰა-
უტხის მიცემასა. ის იწვა კრაოტზედ, გაუბედაობით და ში-
შით შეჰყურებდა ჰეკიმსა, რომელიცა ხან თითით სტეკნი-
და მუცელს, ხან მუშტითა სცემდა ზურგს, ხან ფერდებში
სჩქმეტავდა; ბოლოს აიღო სტეტოსკოპი (*) და დაუგდო
ყური გულის ცემასა.

---ამოისუნთქე! ღრმათ ამოისუნთქე! გეუბნებიან ღრმათ
ამოისუნთქე! ამოისუნთქე! რომ არა სუნთქავ. ამოისუნთქე
მეთქი! ყვიროდა ჰეკიმი შირმას უკან, თან ყური ედო ავათ-
მყოფის გულზედ.

---ადექით!

ავთმყოფი აღვა, ვერ გაბედა ჩაეცო, მიშველა იღვა
ჰეკიმის წინ, არეულის სახით და მოწიწებითა ჰკრებდა თა-
ვისს ღარიბ ტანთ საცმელს.

---რამდენს წლისა ხართ?

(*) ჰეკიმები სმარობენ ამ იარაღს, რომელიცა დურბინდის მსგა-
ვსია, ამით ტუბულულებს გულის ცემას რა სმისაც არის, რადგანც
საჭიროა ეს ცნობა. რედ.

---ოც და თორმეტისა, თქვენი ჭირიმე.

---რა საქმეში ხართ?

---სანასხურში განლაგართ.

---ჰმ!

ჰქვიმი სინჯავდა ავათმყოფს თავიდან ფეხებამდინ, თითქო საზიზლათ მიაჩნიაო.

---თქვენ უნდა იხმაროთ სუბუქი, ნოყიერი საქმელი და კარგი თავი ღვინო სადილზედ.

---ღიან თქუენი ჭირიმეთ.

---საჭიროა წმიდა ჰერი, თბილი და მშრალი ოთახი, მეტი მოძრაობა. გიყვართ ყურძენი?

---მიყვარს. მაგრამ ..გაგებდავ მოგახსენოთ....რადგანც ახლა იმდენს ჯამაგირს ვერ ვიღებ....

---ჰო, მამ ეგ სხვა არის. აგრე შეტყობით რალა. ეი! ვინა ხარ, მანდ, კუზნეცოვი! მომიტა პირსახოცი.

ჰქვიმმა შეიწმინდა ხელი და ესე უთხრა ფერშალს, რომ თავი არც კი მოუბრუნებია. წამლის სახელი ლათინურად. ფერშალმა რეცეპტი დაწერა.

---აი, ეს წამალი სეი, ორ საათში ერთი სტოლის კოვზი.

---საქმლისას რას მიბძანებთ?

---სუ ყველა შეიძლება სჭამოთ, სუ ყველა. აბა ახლა სხვა შემოიყვანეთ.

რამწაფს გააღეს თუ არა კარები, უცებ შემოვარდნენ ძალის ძალათ, ხალხით კლდეითგან თავდაღწეულები ხუთი კაცი. მაგრამ სტოროჟმა და ზედამხედველმა დედაკაცმა გაყარეს ცემით სულერთიან და შემოაუშვეს მხოლოდ ორნი:

ცოლ-ქმარნი. ამისათვის რომ ცოლი ყვიროდა:

— ბატონო ჰეკიმო! მოწყალეობა მოიღეთ! უბრძანეთ მეც შემომიწონ, ცოლი გახლავარ მაგისი. მაგას ლაპარაკი არ შეუძლიან, თუ მაგის მაგიერ მე არ ვილაპარაკე.

— კუზნეცოვ, შემოუშვი, უბრძანა ჰეკიმმა.

— მამიტყვეთ, ბატონო ჰეკიმო, წამოროშა ცოლმა, რომ უზღღელათ შემოვიჭერი აქა. მე ეს ჩემი ქმარი ყველა ჰეკიმთანა მყენდა, ყველამა ნახეს, ყველამ გასინჯეს. რადგანც ბევრი ქება გამიგია თქუტუზზედ, ამისათვის იმედი მაქუს, რომ უშველით.

— ჰო და, რა ანბავია? რით არის ავით? დაბრძანდით თქუტუნი ჭირიმეთ.

— გმადლობ ბატონო ჰეკიმო. უნდა გითხრა, რომ ჩემი ქმარი მსახურებდა სამხედრო ნაწილში.

— დიას.

---ახლა ატსტავკაში გამოვიდა. უნდა გამოტყუხით გითხრა, რომ მე ეს ძრიელ არა მსურდა.

---ნება მიბოძეთ გკითხოთ, ბატონო, რით არის ავით თქუნი ქმარი?

---მე მაგას რიგრიგით გიანზობთ.

---არა, თქუტუნ ნუ შესწუხდებით. ჩუტუნ უკეთ გავსინჯავთ მაგას.

---ლაპარაკი რომ არ შეუძლიან. ენის მეტყველება დაკარგული აქუს.

ავთმყოფი იჯდა კრესლაზედ, სამხედრო შინელები გახვეული, შარფ მოხვეული და უაზროთ უყურობდა ხან ჰეკიმს, ხან თავის ცოლსა.

---აბა, აღეკით, გაიარეთ წყნარა.

ავთმეოფმა აიწია და გადადგა რამდენიმე ბიჯი. ცალფეხს იყოკლებდა. ჰეკიმმა უყურა და სთქვა.

—საკმაოა. მიჩვენეთ ენა. ჰმ! ტანში როგორ არის?

—ტანში, ბატონო ჰეკიმო, ძრიელ კარგათ არის.

—მაღა აქტს?

—მაღაზედ ნულარას მეტყეით: ისე სჭამს, ისე სჭამს რომ თითქმის ყურებაც საშინელებაა. ბევრჯელ უყურებ ხოლმე და ვფიქრობ, თუ იმდენი საითვენ მიდის.

ჰეკიმმა შეხედა ავთმეოფს, ავთმეოფმა ჰეკიმსა. სწეული კმაყოფილებით იღიმებდა, თითქო ანბობს თავის გონებაშიაო. „რაო, ჩემო ძმავ ჰეკიმო, მამ როგორ გეგონა,--გეგონა უჭმელი ვიყავე, ჰეკიმი შეფიქრიანდა და ჰკითხა:

—რა გნებაეთ ახლა ბატონო?

—მე მსურს, იყოლიოთ თქუტუნს საავთმეოფოში.

—ეგ არ შეიძლება.

---რატომაო?

---ამისათვისაო, რომ ეგ სწეულება, სასიამოვნო არ არის.

---ახ, რას ანბობთ? მანდ რალა სასიამოვნო რამ გეჭირება. უნდა უყუროთ რაებს სჩადის, და მაშინ გარწმუნებ აღარ მოიწორებთ.

---რაებს სჩადის?

ავთმეოფის ცოლმა რალაც უჩურჩულა, რომელსაც ჩუტან აქ ვერ აღვწერთ. სწეული კი, იღიმებდა.

---ახლა მიბრძანდით შინა ბატონო და, ხვალ მე თვთანა გნახათ.

თქუტუნი აღრესი მიბძანეთ. ბასოვ? მიბრუნდა ფერშალს,

დაწერე აღრესი. ახლა სხვა შემოუშვით.

ფერშალმა დაიწყო აღრესის წერა. ამდროს შემოვიდა ოთახში დედაკაცი, შავის თავსმოსახვევით; მარხულის სახით, და გამოაცხადა, რომ გული სტკიოდა, მაგრამ ფეხზედ აღმოუჩნდა დაჭრილობა, და როდესაც თავ-მოსახვევიც მოახდევინეს, თავიც გატეხილი ჰქონდა.

—რა საქმითა სცხოვრობ? ჰკითხა ჰექიმმა.

—რა საქმით უნდა ვიცხოვრო, ჩემი საქმე ლუთის სამსახური და ლოცვა არის. მშვიდობიანათ მიუგო დედაკამა.

—დაჭრილობა რათა გაქუს?

---სერგი სასწაულმოქმედის საყდარში გიანელი სალოცავათ, გზაზედ წაიქეცი და ფეხი იმისათვისა მტკიცა.

—აბა ყელი მაჩვენე! იქნება ყელი გაგციებია.

—გაცვივდი დიახ. უნდა სწორე მოგახსენო, ცივი კვასი დავლიე და იმისგან გამიცვივდა.

—თავზედ რალათა გაქუს ჭრილობა!

—ფიქრისაგან.

—ფიქრისაგან! აი, აი! ეი კუმნეტოვ, სხვა შემოუშვი. სხვა რომ შემოიყვანეს, ეს სხვა აღმოჩნდა, მწვანე კაბიანი მთავარი, მაღალმაღალი, წითელ წვერა და ბოხი ხმის მექონე, რომელმაცა რომ შემოვიდა ისეთის ბოხის ხმით შემოსახა, რომ ოთახმა თითქმის ზანზარი დაიწყო:

—დილაშმვიდობისა!

---რას გვიბძანებთ? ჰკითხა ჰექიმმა.

მთავარმა მარღათ გაისწორა თმები. კელი ჩამოისო წვერზედ და მაღალის ხმით გაიხარხარა.

---აი რა, სტევა იმან სიცილით,—გულზედ რაღაცა და-
მაწვა უნდა გაგიტყდეს: რომ წამლობისა არა ეიცირა, ისე
მეჯაერება, მაგრამ რა გაეწყობა.

---გაციებულხათ?

---ღიახ; აფიცრებთან, ცოტათი გავცივდი.

და მთავარმა კიდევ გაიხარხარა.

---იცით რა, არ შეიძლება. ქორწილები არის, ყველია-
რი დღეები მოახლოვდა. გაციებას რა დიდი საქმე უნდა.

---ფეხები ხომ არ დაისველეთ?

—არა,—ჯერ ყელი დავისველე, მერე, ფეხებიც. ხა! ხა! ხა!

—მესმის. სტევა ჰეჰეჰე.

—თვთან თქუტს იფაქრეთ. მთხოვენ, უარი როგორ უთ-
ხრა. ჩუპნი აფიცრები ხომ იცი, მხიარული ხალხია; ჩუპნიც
ყოველთვის იმათს კამპანიაში ვართ უიმისოთ რომ არ
შეიძლება.

—რასაკერვლია. გულზედ შპანკი დაიკარით.

—ჰო, არა, არ მაყვარს გასერა; სამინლათ მეჯაერება.
შე იმასთანა რომ რუსული წამალი, იცით ხომ, ისეთი
რომ მაგარი.

—ან მაზი წაისვით და ოფლი მოიღინეთ.

—ჰო, ჰო, აი ეგ კი,ჰო, ეგ ძრიელ კარგი იქნება, მაგი-
სათუს ძრიელ გმადლობ. მეც უნდა გითხრა, რომ მაგას
ფეჰროგლი, მაზი რომ წამესო, ხა, ხა, ხა! მამ მაგის მეტი
ხომ საჭირო არა არისრა.

—არაფერი.

—აი, ეგ ძრიელ კარგი. მამ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.
გთხოვ დღეის იქით მიცნობდეთ.

— მშვიდობით.

მთავრის შემდგომ შემოვიდა მუჟიკი, რომელიც სიფრთხილით ფეხებს ადგამდა პარკეტის პოლსა, თავი დაუკრა და დადგა მუა ოთახში.

— შენ რაღა?

— თქუნიან ვიახელით.

— შენ რაღა გტკივა?

— წელი გტკივა.

— რისათვის გტკივა წელი?

— რა მოგახსენო.

---საპალნისაგან იქნება?

---დიახ, სწორეთ საპალნისაგან.

---აგიწვია უთუოთ მძივე რამ?

---სწორე აკრე გახლავთ.

— აბა, დაიუზზე! ეგრე. მუცელი გტკივა?

— არა, არც თუ გტკივა, — ისე, თითქო, რაღაცა ხრიალვებსო შიგ.

---ჰჰ! შპანცი უნდა დაიკრა.

---მესმის. აი კიდევ...ხელი წაეხდინე, თიქო ლპებაო.

---მაჩვენე!

მუჟიკმა შეიხსნა ჩერები და აჩვენა თითი. თითზე ასჩენოდა ანჯონ ცეცხლი. ჰეჰიმმა გაიქნია თავი და დაუსტენა.

— ეგ როგორ დაგმართია!

— ღმერთმა ნუ იცის, თქუტუნი კარიმე. ჩუტუნი სოფლის მუჟიკი შეხბეროვი და მე ვხუმრობდით, წაფიქცი შენი კარიმე და ხელი მიწას დავკარი.

— დიდი ხანია?

— აგერ მესამე კვირა გახლავთ.

--- აგრე ჩემო ძმაო, თითს გამოეთხოვე. -- უნდა მოიჭრას.

--- მესმის.

-- მინამ წადი აქედგან.

მუჟიკი გავიდა. შემოვიდა ახალ გაზდა ქალი, ლამაზის
სახ.სა, მოწყენილი

--- რა გნებავთ? ჰკითხა ჰეკიმმა ალერსით.

--- ავთ გახლავართ.

--- რა გტკივა?

ქალი მორცხობდა.

— როგორ მოგახსენოთ... სულ ვტირი.

— რაზედა ტირით?

— მეც არ ვიცი, რაზედ? მე ვგრძობ, რომ ჩქარა უნ-
და მოკვდე.

და ქალმა დაიწყო ტირილი.

— რისთვისა ფიქრობთ, რომ მოკვდებით?

--- მე ვიცი მოკვდები. სიზმრებსაც იმისთანას ვხედავ,
თითქო ვილაც მეჭიდებო.

— ჰმ! მიბოძებთ თქუტსნი ხელი? ჰმ! გასათხოვარი ხართ,
თუ გათხოვილი?

--- იჰ, არა.

-- მაშ?

— ქერივი გახლავარ.

--- მაშ, მადა გაქუტსთ!

— არა.

--- მაშ, თუტსნი გარემოება როგორია?

— არაფერი.

— როგორ არა ფერი? არა ფერი გაქტსთ?

— ოჰ, რას მიბძანებთ?... არაფერი.

— ნება მიბოძეთ.... მაგრამ, ან საქიროა, შე თვთან დაგ-
ხედავთ სახლში,

— ოჰ, უმოჩილესად გთხოვ, დიდი მადლობელი გახლ-
დებით.

— უთუოთ, უთუოთ, ბასოე! დაწერე ადრესი! ნახვამდინ.
უთხრა ჰეკიმმა და ალერსით დაუკრა თავი.

ამ კალის შემდგომს შეჰოიყვანეს: კიდევ ხუთაოდ, ექვსიოდ
კაცი, ბოლოს ჰეკიმმა დაამთენარა, გარდაესვენა კრესლა-
ზედ და უბძანა სტოროუქს:

--- აღრაგინ შემოუქმო. მამაბეზრეს, უთხარი ხვალ მო-
ვიდნენ.

ამის შემდგომს, რა უნდოდა გასულიყო და წასულიყო თა-
ვისთვს, შემოვარდა უცებ კაცი, მოუპარსაგის წვერითა ცა-
რიელა სერთუკით, ზედ ქამარ შემორტყმული და სწრაფად
მიიჭრა ჰეკიმთან.

--- რა გინდა შენ? გაჯაერებით ჰკითხა ჰეკიმმა.

--- თქუტსნო მალალკეთილშობილებავ, თქუტსნ სადღეგრძე-
ლოთ, წერილშული გახლავარ! მიშველეთ! ძალიან ავათ ვარ!

--- რა ანბავია?

--- თავი მტკივა. მრთელი ტანი დაჩეჩქელი მაქტს! გუ-
ლიცა მტკავა, ფეხებიც. ტანში მამტერევს, თვალითაც
კარგათ ვერა ეხედავ.

--- გაციებულხარ?

--- არა. თქუტსნო მალალკეთილშობილებავ.

— შენ ვინა ხარ?

— ეულიოვის მოსამსახურე გახლავარ.

— მიჩვენე ენა. აბა ერთი შემთავრთქლე პირში. რას ამბობ, შენ მთვრალი ხარ, - მთვრალი ხარ შე პირუტყო!

— არაოდეს თქუტსნო მალალკეთილშობილებაე.

— რაებს ამბობ? ვის ატყუებ? განა მე არ მესმის? რის-
თვის მოხველი აქა?

— მსურს მე, რომ აქ დაეწვე საავთმყოფოში.

— დაიკარგე აქედან! ახლავე დაიკარგე!

— ნება მამეცი მოგახსენო.

— აბა!

— მე მთვრალი არა ვარ. ეს კი მართალია, მძმარავს ხო-
ლმე, — დღეს წაჰამძმარა, ამისათვის ცოტა დავლიე. ძრიელ
ცოტა. ისიც იმისათვის რომ ეგება შევთბე მეთქი. მაგრამ
მთვრალი კი არა ვარ.

— ახლავე მე შენ პოლიციოში გაგზავნი სითბოსათვის.
მაშინ შეიტყობ შენ, რაც არის სითბო.

— ეგ როგორც თქუტსნი ნება იყოას, მაგრამ ეს კი ვიცი,
რომ არა ვარ....

— ეი, კუზნეცოვ! გააგღე აქედან!

— თქუტსნო მალალკეთილშობილებაე, ნება მიბოძეთ მოგა-
ხსენოთ! მთვრალი რომ ვყოფილიყავი, თქუტსნ არ შეგა-
წუხებდით, მე თქუტსნ მოგახსენებთ, რომ ძრიელ ავთ გახ-
ლავარ....

— რალას უყურებ ემანდ, კუზნეცოვ? გააგღე აქედან! გაი-
ყვანე! — ყვიროდა გაცხარებული და გულზედ მოსული
ჭეჭიმი.

—მაიცა უნტერ აფიცარ! ოჰ, როგორი კაცი ყოფილხარ! ეუბნებოდა და უძალიანდებოდა ავათ-მყოფი.

—გააგლე აქედან? დაკარგე!

—თქუსნო ბრწყინვალეზე! თუ მე არ გებრალეები, ჩემი ცოლშული გებრალეობდეთ.—რომ დაიწყო ლაპარაკი ავათ-მყოფმა, სტაცეს ხელი სტოროქმა და ზედა მხედველმა დედაკაცმა და გაათრიეს გარეთ.

—რა პირუტყვები არიან ჰა?—ანზობდა ჰექიმი და თან გაჯავრებული გაიგელ-გამოივლიდა ოთახში.—აბა, მოდი და ამას იქით, კიდევ შემოუშვი ნათრეე-ნუთრევი ხალხი აქა.

—პირველი მიზეზი ის განლაკთ, რომ ხალხი გარყენილია, შიში არაფისი აქუსთ,—სთქუა ფერშალმა დიდგულათ თითქო ერთი დიდი სამეცნიერო რამა სთქვაო, და თან კალამს დაუწყო წმენდა თავის სერთუკის კალთითა.

ამ სცენის შემდგომს, სხვა ფერშალი, აუელ-ჩამოუვლიდა ავათმყოფებს, რომელნიცა იწვნენ საავათმყოფო ზალაში, და ურიგებდა წამლებს. მივიდოდა ხოლმე ყველას კრაოტთან, დახედავდა ზედ წარწერას (*) და უდგამდა წინ პატარა სტო-

(*) ყველს ავათმყოფს კრაოტის თავთან ამათუელ ვოხსუელ, რომელსაც ფიჭარია მიკრული. აწერია: ამს და ამ სხეულებით არის ავათაო.
რედ.

ლხედ შუშით წამალსა, ან ჰაბებსა და მაზსა.

— მე მაგ საძაგელს წამალს აღარ დაველე. ანბობდა ერთი ავათაყოფი, — მაგ წამალხედ უფრო ცუდათა ვნდები, თორემ უკეთობას კი ვერ ვატყობ.

— მე რა მენადვლება? თუთნა დალიე, თუნდა, ნუ. ჩემი ეს არის: წამალი მოგიტანო და შუშით კრაოტის წინ სტოლხედ დაგიდგა. თუ გკითხონ, უთხარი დაელიეთქო.

— კარგი.

— მე წამალი? მეც მომიტანე და. — ეუბნებოდა სხვა ავათ-ყოფი ფერხალსა.

— დღეს შენ წამალი ვერ მოგივა. ნუგეშინიან, ხვალამდინ არ მოკვდები.

— ეგ მართალია, მაგრამ: პირი გამიხმა.

— მოითმინე, ძმობილო, მოითმინე. ეი, თქტუნ! კამანდაე! — მიუახლოვდა და უთხრა ერთს მძინარა სალდათსა. რაო, ჰაბები სულ ჩაყლაპე?

— სულ ჩაყლაპე, უპასუხა სალდათმა და გაეხვია საბანში.

— ხედავთ, გაეხვია საბანში და პასუხსაც არ კადრულობს მამცეს, სთქუა ფერხალმა, — ჰა, კიდევ ჰამები.

— მამეცი.

— არა, რას აძლევ ტყვილათ ჰაბებსა? ეუბნებოდა ახლო მყოფი მწობელი სალდათი ფერხალს, — რაც ჰაბები მიგიცია, არც ერთი არ ჩაუყლაპავს, დასაფურხებელ ყუთის კეიბაში ჰფლამს. განგებ არა სვამს წამალსა, რა არი ეგებ ცხვირი ჩამომეარდეს, რომ ხამახურითგან გამომავდონ და ჩემს სამშობლო ქვეყანაში წავიდეთ.

სცენა წარმოადგენს გრძელს და ფართოს ზალასა; ფანჯრები ნახევრამდინ მწვანე წამლით შეღებილი აქუს, ორ მწკრივით კრაოტები ღვას, რომელზედაცა ზოგნი ავათმყოფები წევანან, და ზოგნი ჩამომსხდარნი არიან, ზოგნი კიდევ დადიან. ყველას სუფთა ჩულკები აცვიათ და ფაქზი ყალფახები ხურამთ თავზედა; კრაოტებზედ გარდაფარებულია წმინდა ტილოების ზერწრები. პოლი არის ლაქა წასმული. ზედა-მხედველიდგდაჯაცი მალმალე შედისკარრიდორიდამ, ჩაუვლის კრაოტებს, წესხელ არის თუ არა ყველაფერი; ზოგს ავათმყოფს საბანსუსწორებს, ზოგან მტეერსა სწმენდს.

—ნუ ჰყრიხართ აგრე კრაოტზედ! სულ თქუძნ უნდა გდიოთ ადამიანმა. ბალიმები სულ ჩაგიჰყლეტიათ. რამდენი უნდა იართ და ახდინოთ პოლი. რა შერცხვენაა ესა! საცაა ღენერალი მობძანდება და ესენი კი დაეთრევიან.

—ხმა გაიკმინდე ერთი მამაგიცხონდა, — ანბობს ერთი ავათმყოფი.

—როგორ ხმა გაიკმინდო. მოიცა სმოტრიტელს ვეტყვი. ის მოგივათ თქუძნ ოინსა.

—ძალიან საჭიროა შენი სმოტრიტელი!

—სმოტრიტლისა არ გემინიან, წავალ ორდინატორთან გიჩივლებ.

—მობძანდება! მობძანდება! ისმის ხმა კორრიდორიდამ. ავათმყოფები ისწორებენ ყალფახებს, და ყველანი თავ თავის კრაოტთან დგებიან; რომელნიც დასუსტებულები არიან, საბანებს ისწორებენ. მომელელი დგდაჯაცი ღვას კარებთან და

ანველებს მოწიწებით.

შემოდის ღენერალი, მელიოტი მოხუცი, ფრაკით და სათვალეებით: იმას ორ ბიჯზედ მოშორებით მოსდევს თანაშემწე, შემდგომს ორდინატორი, სმოტრიტელი, ფელმარა, რაპორტით და მომვლელი დედაკაცი. ღენერალი რომ შემოდის, ავთმყოფები ყალფაზებს იხდიან და თავს უკრამენ.

—რამდენი ავთ მყოფები არიან! ჰკითხავს ირდინატორს ღენერალი.

—თერთმეტი კაცი გახლავსთ, თქუტსნო აღმატებულებაე.

—საშიში სნეულება ხომ არა ეისა აქუს?

—არა, თქუტსნო აღმატებულებაე.

ღენერალი მივა ერთ ავთმყოფთანა.

—შენ რითა ხარ ავთ?

—მე კუჭის ანთება მქონდა, ეუბნება ავთმყოფი.

—მაგას არა გკითხამენ, შენიშნა ღენერალმა.

—როგორა გრძნობთ ახლა?

---ცუღათ.

---სადა გტკივა?

—მე ახლა ვგრძნობ მარტო....

—მაგას არა გკითხამ, რასაცა გრძნობ, სადა გტკივა

მეთქი?

—მუცელი.

—ეს ეინ არის?

—ავთ მყოფი გახლავსთ, უპასუხებს კანჯალით ორდინატორი.

—მე ვხედავ რომ ავთ მყოფია. ეინ არის ეგა?

---საბატონო ყმა.

შენ როგორა ჰბედავ, და თავზედ ყალფაში გხურამს, ჰა? სამ დღეს ვახშამი არ აჭამოთ. ეს რილითი არის ავათ?

— ეგ გახლავით თქუტსნო აღმატებ.....

— ეი დედაკაცო, სად არის მომვლელი? ოფლი მოსვლია ამას?

— რამწამს ცხელ-ცხელი დალია, მაშინვე....

— ოფლი მოსვლია შეთქი ამას?

— დიახ, მე თქუტსნო აღმატებულებავ.....

— კიდევ ოფლი მოსვლია შეთქი?

— მოუვიდა.

— ეს რაღა არის? ღენერალი აჩვენებს ზეწარსა.

— ლაქა გახლავით, უპასუხებს კანკალით დედაკაცი.

ღენერალი თითს იმვერს მომვლელ დედაკაცზედ და ეუბნება სმოტრატელს.

— ერთი თვის ჯამაგირი არ მისცე!— ეს რილითი არის ავათ?

— ეს არის ახლა შემოვიდა, თქუტსნო აღმატებულებავ.

— ორასი წურბელა ამას.

გენერალი და მრთელი ამაღა გადის რამდენსამე მიწუტის შემდეგ; სმოტრიტელი შემობრუნდება და ეუბნება გამდელს დედაკაცსა:

— რაო, ჰა? გეუბნებოდი თუ არა? ხომ გეუბნებოდი! მომვლელი დედაკაცი ტირის, ავათმყოფები ნუგეშს აძლევენ.

3.

ღამის თერთმეტს საათზედ, როდესაც საავათმყოფოში სრულებით დამშვიდდა, პატარას ოთახში, კარჩიღორის ბოლოს,

ისხდნენ ავთმყოფები. ეს ოთახი იყო, წყალის გასათბობად და საფარებელის მოსამზადებლათ წყურლისათვის; ამისათვის იდგა იქ დიდი პლიტა, რომელზედაც იდგა რამდენიმე თითბრის ჩაიდნები და ქვაბები გვირგვინის თესლით სავსეები; ავთმყოფები ისხდნენ წყობად: ზოგი პლიტასთან, ზოგი გადებულ ფანჯარასთან, ზოგი სწევდა თამბაქოს, ზოგნი ქალღმერთს თამამობდნენ და ლაპარაკობდნენ. სტოლთან იჯდა მომვლელი დედაკაცი და ასხამდა ჩაის. ავთმყოფები რიგ რიგით მიდიოდნენ და ართმევდნენ სტაქნით ჩაისა.

— ყმარწვილებო, ეუბნებოდა ერთი ავთმყოფი მეორეებს, როდის მოესწამლავთ ქალბატონსა? რა ანბანია? დაკეცების მეტი არა ხართრა. ეჰ, რა გითხრა თქვენ!

— ძალიან საჭირო არის, მაგვებ თუ არ გამოუდევით, უპასუხა მეორემ.

— მამ რისთვის მოეთრევა ხოლმე? შემოვა თუ არა ჩუქნის საავთმყოფოში და მოჰყვება: „ავთმყოფებო! ნუ ხეფთ საცვლებს!.. იმას რა ხელი აქვს, რომ ვხეფთ. საკელმწიფო არის რა! მე იმას დაუმტკიცებ. ჰერანგსაც დაეხვეფ გაჯავრებუელი, ზეწარსაც, საბანსაც და სხვასაც.

— რა კარგია მერე, ეუბნებოდა დედაკაცი, თანლამბაქს უბერავს ჩაი დასხმულს, — წავა და გიჩივლებთ.

— ემშაკებმა წაიღოს იმისი თავი, თუ წავა.

ორი ავთმყოფი, ქალღმერთს თამამობდნენ კუთხეში და ლაპარაკობდნენ ამ სახით:

— აბა, რაო? თქვენნი სიყვარულის საქმე როგორ მიდის?

— მე კიდევ მივიღე მეორე წიგნი. მწერს, როდესაც ბაღში გამომიშვებენო, მაშინ ენახამთ ერთმანეთსაო. მაგრამ,

ის არ ვარგა, იმას თავი უნდა დავანებო. გუშინ თვალი შევასწარ, ერთი ქალი მოიკვანეს ახალად ავთ გამხდარი და საქალო საავათმყოფოში შეიყვანეს. სწორეთ სულია რაღა! მე კიდევ გამოვიკითხე. გავგზავნე ჩუპნი მამვლელი დედა-კაცი მაგრამ არ მიიკარა. კორრიდოროში არ გამოდის. მივახწვევ კი იქამდინ, თუ ერთი ჩქარა ნება მოგვცეს ბალში გასელისა. მაგრამ ეს წყეული პირზედ სისველეები ხელს არ იღებენ.

---რას ანობ ბალში როგორ იქნება! იქ სამოთხე არის ამ გვარ საქმეებისათვის. მე ვანობ კარგს. შარმან აქ ვიწვევი, ყელი მტკიოდა, ბალში აი რა ისტორია გამოვიდა. ქალები ჩემი გულისთვის წაიჩხუბნენ. ერთი ბუხლალტერის და იყო და მეორე ავთმყოფი ქალი. ერთმა იმათგანმა მომასწრო მეორესთან, წაიკიდნენ ორნი და ერთმანერთს თმები აგლიჯეს. რა გგონია? ამ საქმემ დენერლამდინ მიალწივა. აი, ესეც შენი სიყვარული, შეუბნები მეორეც უნდა ავიჩინოვო. მაგაზედ ცუდი არა იქნება რა.

—ეი, ყმაწვილებო, დაიყვირა უცეებ ერთმა ავთმყოფმა, იცით რა მოვიგონე?

—აბა რა!

—ახლა რომ, ამ ჩუპნს ბებერს დედაკაცს ხუთშაურიანი ვაჩუქოთ და გავგზავნოთ არყის მოსატანათ, რასა ფიქრობთ ამხედ?

—რატომ, ეგ შეიძლება. დაიყვირეს ერთის ხმით.

—კარგია ხმა გაიკმინდეთ, უთხრა წყრომით დედა-კაცმა, თქუტუნ მაგიერ ნაჩალნიკს პასუხი მე უნდა გავცე!

—კარგია ერთი მართლა ბებერს ნუ ლაპარაკობ.

—კარგი რა გაეწყობა, მაგრამ ჭკვიანათ კი ისხედით!

—შენ წადი, გასწიე და ჩუპნ ვიც-თ.

—კარგია. იმდენი რომ ყველას ეყოს?

—მამ! ღროთი!

დედაჯაცმა აიღო ბოთლი კელში და გასწივა,—ავთმყოფები კი ისევე ლაპარაკობდნენ.

—აბა ყმაწვილებო, მინამ ოტკა მოგივიდოდეს, სიმღერა ეთქვათ რამე. მამაო? აბა დაიწყე!

ერთმა ავთ მყოფმა, საშჯერ ჩაახველა დ შემოსძახა.

ამავე ღროს, კორჩილორის მეორე ბოლოს ოთახში, იყო ეს ანბავი: ორი მომვლელი დედაჯაცი იდგა კრაოტთან, რომელზედაც კვდებოდა დედაჯაცი სახადით.

—ახლო რა უყოთ ჩუპნ ამას? ლაპარაკობდა ერთი მომვლელი.

—საჭირო არის დეჟურნის შეტყობინება?

—საჭიროა, მამ გასწიე!

—მე რისთვისა მგზავნი, მენ თითონ წახვიდე.

—ან მე რაზედ წაედე, ან შენ. ახლა ის მაინც შინ არ იქნება, სმოტრიტელთანა ზის და ქალაქსა თამამობს ახლა. წედან აკი გვეუბნებოდა ტყვილ უბრალოთ ნუ შემაწუხებთო. უიმისოთაც მოკვდება ესა. ფერშალს კი უნდა შევატყობინოთ.

—ფერშალი ახლა მთერალი გდია. იმას ვერას გზით ვერ გააღვიძებ.

—მამ რაღა საჭირო არის ბევრი ლაპარაკი მიშველე

გადმოვიღოთ კრაოტიდამ, ბალიშს პირი გადავაძროთ და ზერწარიც ავიღოთ, ტყვილათ რაზედ ვაჩირქიანებინებთ. მიმველე შენც.

— მომველე დედაკაცებმა სტაცეს ხელი ავთამყოფს, რომელიც თითქოს გამოირკვაო და წამოიღულულულა.

— ქადებს, ქადებს... ვაცხობდი....

— ჰა, როგორ არა, უპასუხა ერთმა მომველელმა. რა ღროს მოუვიდა ფიქრათ ქადების გამოცხობა! გამოაცალე ლეები ქვეშედან. ფეხი გაუჭიმე. არა, წავალ პეტროვიჩს შევატყოვინებ.

მოვიდა ნამძინარევი პეტროვიჩი, სალდათი და წამოიბუტბუტა:

— ჰო, რაო? რა ანზავიო? სულელო დედაკაცებო! რა არ შეგიძლიანთ, მითხარით. რომ არ იცი, ჩუბნებურათ უნდა, მოიქცეთ ვოენურათ, უხვირებო. ერთი! შენ ფეხები დაიჭი! მე ილღიებში შეუჯდები. ამ ღროს მოვიდა ერთი მოხუცებული დედაკაცი, უყურებდა ამ ავთამყოფის წვალეზასა და ამოიოხრა გულის საკლავათ.

— დედი და ჩემი წავიდა! დაიყვირა უცებ მომაკვდამა, წავიდა! გამოუდექი იმას, გამოუდექი!...

— არა, დაიგვიანა. სთქვა სიცილით სტოროჟმა. ვერ მოეწევი. დასდევით ფიცარზე! აგრე! კარგათ არის. ახლა კი შეგიძლიან მოკვდე, ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს!..

შენიშვნა.

უფ. დიმიტრი ყიფიანის თარგმნილში შეგვპარვია შეცდო-
მები. გთხოვთ ასე წაიკითხოთ.

გვერდი.	შეცდომა.	ნამდვილში.
—	—	—
2.	შენთვს.	შენთვს,
—	დაგისმენ.	დღგისმენ,
—	ჭკუა.	ჭკუა.
—	ჰუმობია.	ჰუმობია,
4	სწორეთ.	სწორეთ,
5.	შენ	შენს.
14	უკვრდა.	უკვრდა,
13.	ასკა	ასაკა,
—	იმასთან	იმათთან
20.	ვეტრფი.	ვეტრფი?
21.	მაგრა	მაგრამ
27.	შეჩუანებელი	შეჩუანებული
—	შემთხუტუას	შემთხუტუეას
30	თქუტნი	თქუტნი ხაზინა.
—	ღირსი	ღირსი
33	აქ მოგელით	იქ მოგელით
36	რადგანაც ამას	რადგანაც მამას
41	და სილვია	და სილვიამ
44.	მაგრა პროტეოს	მაგრამ პროტეოს.
49	არ იფიფქროთ	არ იფიქროთ

- | | | |
|-----|----------------------|-------------------------|
| 54 | ისე განრისდა | ისე განრისხდა |
| 64 | კარგად შეწმანელს | კარგად შეწმანნილს, |
| 71 | ქუცყინისა მსასკებელი | ქუცყინისა მსამოთხებელი |
| 76. | დატანჯულ სულსა | დატანჯულ სულს |
| 82. | გმადლობთ | გმადლობთ |
| 86. | მიწუწუგბ? | მიწუწუგბს? |
| — | ჩუმაათ | ჩუმათ |
| 90 | განზრახვიდა | განზრახვდა. |
| — | რასა ვჰხედავ | რასა ვჰხედავ! |
| 92. | მე რომ ჯუღიას ვაჩუქე | — მე რომ ჯუღიამ მაჩუქა, |
| 96. | რუსულად კეტჩერისა | რუსული კეტჩერისა. |

1 8 6 7 წლის

„ცისკრის, დაბარება შექმნება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელის სასა-
ლეში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ აღრესით:

„ცისკრის რედაქციაში ტფილისს.,